

სარჩევი

თავი I. მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

მითი და რეალობა მუსიკაში	5
გაკვეთილი 1 – მსგავსება მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის – მითის ფენომენი	8
გაკვეთილი 2 – რიტუალი – „გაცოცხლებული“ მითი	10
გაკვეთილი 3	23
გაკვეთილი 4 – მითისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების მსგავსება	14
გაკვეთილი 5	16
გაკვეთილი 6 – რიტუალური ცეკვები	19
კომპლექსური დავალება	20
გაკვეთილი 7 კომპლექსური დავალება	21
გაკვეთილი 8 – მითი მსხვილი ფორმის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრებში – მითი ოპერაში – თქმულება ზიგფრიდზე, რიჰარდ ვაგნერის ტეტრალოგია „ნიბელუნგის ბეჭედი“	23
გაკვეთილი 9	27
გაკვეთილი 10	28
გაკვეთილი 11	30
გაკვეთილი 12	32
გაკვეთილი 13	34
გაკვეთილები 14-16	37
გაკვეთილი 17	42
გაკვეთილი 18 კომპლექსური დავალება – რიჰარდ ვაგნერი – „ნიბელუნგის ბეჭედი“, ხმლის ჭედვის სცენა	44
გაკვეთილი 19 – მითოლოგია XX-XXI საუკუნეების მუსიკაში	45
გაკვეთილი 20	48
გაკვეთილი 21	49
გაკვეთილი 22	50
გაკვეთილი 23	52
გაკვეთილი 24 – კომპლექსური დავალებები	53
გაკვეთილები 25-26 პროგრესული როკი	54
გაკვეთილები 27-29	57
გაკვეთილები 30-31	61
გაკვეთილი 32	64
გაკვეთილი 33	66
გაკვეთილები 34-35	67
კომპლექსური დავალება	74
გაკვეთილი 36 – კომპლექსური დავალება	71
გაკვეთილი 37 – მითოლოგიური აზროვნება კინომუსიკაში	72
გაკვეთილები 38-39	74
გაკვეთილი 40 – კომპლექსური დავალება	77

თავი II. მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში	78
გაკვეთილები 41-42 – ჟანრის მახასიათებლები მუსიკაში კატაკლიზმების გადმოცემის დროს	79
გაკვეთილები 43-44 – სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, როგორც კატაკლიზმის სიმბოლური მუსიკალური სახე	82
გაკვეთილი 45 – კომპლექსური დავალება	86

თავი III. მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

გმირი და ანტიგმირი მუსიკაში	
გაკვეთილი 46 – გმირისა და ანტიგმირის სახე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში	88
გაკვეთილი 47 – ლ. ვან ბეთჰოვენი – „ეგმონტი“	92
გაკვეთილი 48 – ჰ. ბერლიოზი – „ფაუსტის გაკიცხვა“	96
გაკვეთილები 49-50 – ალ. მაჭავარიანი – ბალეტი „ოტელო“	99
გაკვეთილი 51 – კომპლექსური დავალებები 1, 2	103
გამოყენებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი	105

სახელმძღვანელოში გამოყენებული გზამკვლევი სიმბოლოები



მოისმინე



ნახე ვიდეოკადრები



უპასუხე კითხვებს



დაწერე



იმუშავე LMSS პროგრამაში



მოიძიე ინფორმაცია



აქტივობები

IX კლასში შეისწავლი:

1 მითი და რეალობა მუსიკაში

როგორი დავაკავშიროთ ერთმანეთთან მითისა და მუსიკის მახასიათებლები.

2 სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში

როგორ ამოვიცნოთ და დავუკავშიროთ ერთმანეთს კატაკლიზმებისა და მუსიკის მახასიათებლები.

3 გმირი და ანტიგმირი მუსიკაში

როგორ გადმოიცემა გმირისა და ანტიგმირის სახე მუსიკაში.

თავი I

მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

თემა: მითი და რეალობა მუსიკაში

მითების წარმოშობა უძველეს წარსულს უკავშირდება. ადამიანები უხსოვარი დროიდან ქმნიდნენ მითებსა თუ ლეგენდებს. სხვადასხვა ხალხის მიერ შექმნილ მითებში ასახულია მათი წარმოდგენები სამყაროს შექმნასა და, ზოგადად, სამყაროზე. მათ სჯეროდათ მითის მისტიკური შესაძლებლობების, მისი ჯადოსნური ძალის, რომელსაც ნამდვილი სასწაულების მოხდენა შეუძლია, და თხზავდნენ მითებსა და ლეგენდებს ღვთიურ არსებებზე, ზეციურ გმირებზე, რელიგიურ თუ საყოფაცხოვრებო თემებზე.

უდიდესი ემოციური ზემოქმედების მქონე მუსიკა საუკუნეების განმავლობაში გადმოცემებისა და მითების თანმდევი იყო. უხსოვარი დროიდან მოყოლებული, მუსიკა დღესასწაულებისა და რიტუალების სავალდებულო ატრიბუტია.

მოსწავლის წიგნის პირველ ნაწილში მიზნად დავისახეთ მითისა და მუსიკის არსის მსგავსების გამოვლენა – რა არის მითი, რა სახით ვლინდება ის ხელოვნებაში და, განსაკუთრებით, მუსიკაში.

მოგითხრობთ საინტერესო მითებსა და რიტუალებზე, რომელთა მიხედვით გავეცნობით მსოფლიო ხალხთა კულტურას. მოვისმენთ და ვისაუბრებთ მითოლოგიურ თემაზე შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებებზე, განვიხილავთ თანამედროვე მითოლოგიურ პერსონაჟებს.

რა ხერხებით გადმოიცემა მითში არსებული აზრი, შინაარსი, რით ემსგავსება გადმოცემის ეს ხერხები მუსიკის მხატვრულ ხერხებს, ამის გარკვევაში პირველი თავის აქტივობები დაგვეხმარება.

მოსწავლის წიგნში მუშაობა რომ გაგიადვილდეთ, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები:

წაკითხვამდე

მიზნის დასახვა

* გაიაზრე, რატომ უნდა შეისწავლო თემა.

გაეცანი

* გაკვეთილების სათაურებსა და საკვანძო სიტყვებს, რათა გაიგო, რას ისწავლი; ყურადღებით წაიკითხე ტექსტები, დაათვალიერე ილუსტრაციები;

* მოისმინე შემოთავაზებული მუსიკა, რათა დამოუკიდებლად შეძლო საუბარი მის ირგვლივ.

შეამოწმე შენი წინარე ცოდნა

* რა იცი ამ საკითხზე;

* თუ ვერ გაიხსენებ უკვე ნასწავლ მუსიკალურ ტერმინს, დაფიქრდი კონტექსტზე, სადაც ეს სიტყვაა გამოყენებული.

გაკვეთილის ბოლოს

შეაჯამე

* სრულად აღწერე თუ არა თემის მთავარი იდეა და როგორ დაგეხმარა დეტალები მის გაგებაში;

* გადმოეცი შენი შთაბეჭდილებები და დაასაბუთე;

* ისაუბრე მოსმენილი მუსიკის შესახებ – რომელი გამომსახველობითი ხერხებით გადმოიცემა ინფორმაცია, სწორად გამოიყენე ტერმინები.

შეაფასე

* არსის წარმოჩენა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხებით შეიძლება.

შეამოწმე შენი თავი

* რა გაიგე ახალი, რაც აქამდე არ იცოდი;

* როგორ გამოიყენებ ახლად შესწავლილ ინფორმაციას.



მსგავსება მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის

მითის ფენომენი

მითები და რიტუალები ამა თუ იმ ქვეყნის ხალხების კულტურის ის ასპექტებია, რომლებიც ოდითგანვე გვხვდება ნებისმიერ საზოგადოებაში. ძველი ხალხების მითოლოგია, მათი შეხედულებების ევოლუცია ამოუწურავი თემაა.

მითების წარმომავლობა სხვადასხვა თემატიკისაა: რელიგიური, ჰეროიკული, ფილოსოფიური და სხვა. მითი შეიძლება ეხებოდეს ღვთაებებს და დაპირისპირებული მხარეების კონფლიქტს, რომლის დასასრულიც მორალური მითითებაა საზოგადოებისთვის. მითი კაცობრიობას სთავაზობს ერთგვარ გზამკვლევს ეროვნული ფასეულობების, სამყაროს წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა შემეცნების გზაზე.

მითი არის წარმოდგენები სამყაროს შექმნასა და, ზოგადად, სამყაროზე. ხალხს მითების სჯეროდა, რადგან ის მათთვის საკრალური იყო ისევე, როგორც სახარება ან, თუნდაც, ინდური ეპოსი, რომელზედაცაა აგებული მთელი ინდური რელიგია. ასე რომ, მითი არის რელიგიური აზროვნების საფუძველი, რა რელიგიაცაა დამკვიდრებული ამა თუ იმ ხალხში, იმავე თემაზეა აგებული მათი მითებიც. შესაბამისად, მითი არის როგორც სიმბოლური, ასევე რეალურიც.

არსებობს მითის მრავალი განმარტება, მაგრამ ვერცერთი სრულად ვერ ხსნის მის ფენომენს. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც მიზნად მითისა და მუსიკის არსის მსგავსების გამოვლენა დავისახეთ, ყურადღებას შევაჩერებთ მითის რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელზე.

თვალი გადაავლეთ ილუსტრაციებს ძველი ბერძნული და ეგვიპტური მითოლოგიიდან. თითოეული მათგანი თქვენთვის კარგადაა ნაცნობი. შეეცადეთ დაასათაუროთ ისინი.



1



4



2



3



რომელი მითი ამოიცანით ილუსტრაციებზე? ისაუბრეთ, რა თემატიკაზეა ეს მითები შექმნილი; გაიხსენეთ წაკითხული მითები ან მითოლოგიურ თემაზე შექმნილი მხატვრული ფილმი, შეძლებისდაგვარად გადმოცით ამ მითის მოკლე შინაარსი, აღწერეთ მუსიკა, რომლის მეშვეობითაც გადმოცემულია ეპიზოდებისა თუ პერსონაჟების დახასიათება და თქვენი სიტყვებით ახსენით, რა ღირებულებებზეა გაკეთებული აქცენტი ამ მითებში.



მოისმინეთ ოთხი მუსიკალური ფრაგმენტი და მიუსადაგეთ ილუსტრაციებს; აღწერეთ, რა წარმოდგინეთ მუსიკის მოსმენისას და ახსენით, რის მიხედვით მიუსადაგეთ მოსმენილი ფრაგმენტი ილუსტრაციას.

აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ მითი არ არის ჟანრი, იგი აზროვნების ფორმაა, საკრალური ტექსტი (მაგალითად, რელიგიური), რომლის მიხედვითაც ტარდებოდა რიტუალები. როგორც აზროვნების ნებისმიერი ფორმა, მითიც ქმნის გარკვეულ კულტურულ გარემოს, ესთეტიკურ და სულიერ ფასეულობათა სისტემებს. ყოველივე ეს კი თავს იჩენს ცხოვრების წესში, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ხელოვნებაში და ა. შ. მითოლოგიური აზროვნება ქმნის სამყაროს მოდელს, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული რაციონალური* და ემოციური საწყისები. სწორედ ამით მითი ძალიან ემსგავსება მუსიკას.

* **რაციონალიზმი:** 1. ფილოსოფიური რწმენა იმისა, რომ შემეცნებისათვის ყველაფერი მისაწვდომია; დარწმუნებულობა ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობების რწმენაში. 2. შემეცნების თეორიის მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ გონებას მიიჩნევს.

რიტუალი – „გაცოცხლებული“ მითი

საკვანძო სიტყვები

მითი; რიტუალი;
მუსიკის გამომსახვე-
ლობითი ხერხები:
რიტმი, ბგერა, ჰარმო-
ნია, დინამიკა, ტემპი.

1

მითის სრულყოფილად აღსაქმელად მისი შინაარსის მხოლოდ სიტყვით გადმოცემა არ არის საკმარისი; ამგვარად მონოდებული მითი მას ზღაპრად ან ლეგენდად აქცევს.

რა ხერხებით გადმოიცემა მითში არსებული აზრი, შინაარსი; რით ემსგავსება გადმოცემის ეს ხერხები მუსიკის მხატვრულ ხერხებს? ამის გარკვევაში შემდეგი აქტივობები დაგვეხმარება.

დაიმახსოვრე!

რიტუალი არის მრავალი სიმბოლური ქცევის ნაკრები, რომელიც სრულდება ფიქსირებული მიმდევრობით და პერიოდულად მეორდება.

რიტუალის ხსენებაზე ძველი ტომები და მსხვერპლშენიერვა გაგახსენდებათ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მითები და რიტუალები თემატურად მრავალფეროვანია.

სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს სრულიად განსხვავებული რიტუალები აქვთ. ეს განპირობებულია იმ ქვეყნის კულტურის, ტრადიციების, ყოფა-ცხოვრებისა თუ აზროვნული მენტალიტეტით, რაც კონკრეტული ეროვნების ხალხის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობაა.

ხალხური წეს-ჩვეულებები, რომლებიც ეროვნული კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, ყოველთვის წარმოადგენდა კონკრეტული ერის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. ყველა ეს ჩვეულება ძალიან ფერადი და მრავალფეროვანია სინამდვილესთან მიმართებაში. ყოველ მათგანში ასახულია ხალხის კულტურისა და მენტალიტეტის ფუნდამენტური მახასიათებლები.





ვიდეოფაილით ნახეთ კუნძულ ბალიზე მცხოვრები ერთ-ერთი ტომის რიტუალი, რომელსაც „კეჩაკი“ ჰქვია. ამ რიტუალში გაცოცხლებულია ძველი მითი. კარგად დააკვირდით რიტუალს და უპასუხეთ კითხვებს:



- როგორ ფიქრობთ, რატომ უწოდეს ამ რიტუალს „კეჩაკი“? ახსენით, რის მიხედვით ივარაუდეთ ასე;
- რა განცდას გიტოვებთ ეს რიტუალი? (შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხის ვარიანტი და ახსენით, რატომ შეარჩიეთ იგი):

- ა) ინვეეს შფოთს, ნუხილს;
- ბ) ენერგიას მატებს, საბრძოლო სულისკვეთებას აღვივებს;
- გ) გვახალისებს, ინვეეს სიცილს;
- დ) წარმოადგინეთ თქვენი ვერსია.



განმეორებით ნახეთ ვიდეოჩანაწერი.

- რის შესახებ შეიძლება იყოს ეს მითი? ახსენით თქვენი ვარაუდი;
- მუსიკის რომელი მახასიათებლები ამოიცანით ამ რიტუალში?
- თქვენი აზრით, რას მატებს რიტუალს მუსიკის ეს მახასიათებლები?
- რა გრძნობას ინვეეს თქვენში ამ ფორმით მოწოდებული მითის არსი (მთავარი აზრი)? ახსენით თქვენი პასუხი;
- როგორ ფიქრობთ, როცა ამ მითის შინაარსს გაეცნობით, შეგეცვლებათ აზრი თქვენს პირველად შეგრძნებებზე?




რიტუალები თანამედროვე დროშიც სრულდება. დაფიქრდით და დაასახელეთ, რა თემაზე, რა ღირსშესანიშნავი მოვლენების დროს ასრულებენ რიტუალებს; მოიძიეთ ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში არსებული რიტუალებისა და მათი შესრულების წესების შესახებ; მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი.

- 1 ყურადღებით გაეცანით „კეჩაკის“ შინაარსს. მასში დიდი ინდური მითოლოგიური ეპოსის – „მაჰაბჰარატას“ – ერთ-ერთი გმირის, მეფე რამას, ისტორიაა გადმოცემული. მისი მოკლე შინაარსი ასეთია:

„დიადი მეფის, რამას, მეუღლის, სიტას სილამაზით შეპყრობილი ბოროტი დემონი რავანა მის მოტაცებას განიზრახავს. ერთხელ, როდესაც მეფე რამა თავის მეუღლესა და ძმასთან, ლაკშმანასთან, ერთად ჯადოსნურ ბაღში სეირნობდა, რავანამ ბაღში ოქროსრქებიანი ირემი მიაგზავნა. ირმის სილამაზით აღფრთოვანებულმა სიტამ მეუღლეს მისი დაჭერა სთხოვა. რამამ მეუღლე ლაკშმანას ჩააბარა, ხოლო თავად ირემს დაედევნა. როდესაც რამამ ირემი დაიჭირა, ირემმა რამას ხმით ამოიოხრა. სიტამ გაიგონა რამას ხმა და, შეშინებულმა, ლაკშმანას სთხოვა, ძმას დახმარებოდა. ლაკშმანამ სიტას ირგვლივ მაგიური წრე შემოხაზა და სიტა გააფრთხილა, ამ წრის ზღვარს არ გასცდენოდა, თავად კი ძმის დასახმარებლად გაეშურა. ამასობაში დემონმა რავანამ მოხუცის სახე მიიღო, სიტას მიუახლოვდა და წყალი სთხოვა. სიტას შეებრალა უძლური მოხუცი, მაგიური წრიდან გამოვიდა და მიუახლოვდა. მოხუცი მაშინვე საშინელ დემონად გადაიქცა, სიტას ხელი სტაცა და ცაში აფრინდა.

როდესაც რამამ შეიტყო, სად გაუჩინარდა მისი მეუღლე, რავანასთან შე-საბრძოლებლად ჯარის შეგროვება გადაწყვიტა. იგი მაიმუნების მეფეს, სუგ-რივას შეეკრა, ძლიერი და უშიშარი მაიმუნებისგან ჯარი შეკრიბა და სიტას გასათავისუფლებლად რავანას სამყოფლისკენ დაიძრა. ამასობაში რამას ერთგული მეგობარი, მაიმუნთა თავადი ჰანუმანი რავანას სამყოფელში შეიპარა და სიტას აუწყა, რომ რამა მის გადასარჩენად დიდი ჯარით წამოვიდა. რავანამ შეიპყრო ჰანუმანი, რომელმაც ბოროტი დემონს დაცინვა დაუწყო. მან თავისი კუდი რავანას ტახტის მსგავსად შეკეცა, ზედ შემოჴდა და რავანას დაცინვით მიუგო, რომ კუდზე შემჴდარიც კი მასზე მაღალი იყო. განრისხებულმა რავანამ მსახურებს ჰანუმანის კუდის მოწვა უბრძანა. კუდზე ცეცხლმოკიდებული ჰანუმანი დაუსხლტა მსახურებს, ხტუნვა-ხტუნვით გადაევლო რავანას სამფლობელოს და ყველაფერს ცეცხლი წაუკიდა. ხანძრით შეშინებული მსახურები იქაურობას გაეცალნენ, ამასობაში რამა, მაიმუნთა ჯართან ერთად, რავანას სამყოფელს თავს დაესხა. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. რამამ დემონი დაამარცხა და სიტა დაიბრუნა“.



რიტუალური ცეკვა „კეჩაკი“
უცნობი მხატვარი

მოკლედ მოყოლილი რამას ამბავი ვიდეოფრაგმენტში მთლიანად არის გადმოცემული. კიდევ ერთხელ ნახეთ ვიდეოჩანაწერი, ხოლო შემდეგ გადახედეთ ილუსტრაციებს, რომლებშიც ამ ისტორიის ზოგიერთი ეპიზოდია გამოსახული. აღნიშნეთ „+“-ით ის ილუსტრაციები, რომლებშიც ამოიცანით რიტუალში ნანახი მოქმედება. ისაუბრეთ ამ ეპიზოდის შესახებ და აღწერეთ, რა ხერხითაა გადმოცემული ეს სიუჟეტური სვლა.



➤ სურათებში გადმოცემული რამდენი სიუჟეტური სვლა შეამჩნიეთ რიტუალში?

ა) არც ერთი;

ბ) ყველა;

გ) ერთი;

დ) სხვა.

➤ თქვენი აზრით, მითის რომელი სახე წარმოჩნდება ყველაზე მკაფიოდ რიტუალში? ახსენით თქვენი მოსაზრება;

➤ განხილული აქტივობიდან გამომდინარე, შეგიძლიათ თუ არა გამოთქვათ თქვენი აზრი, რას ნიშნავს მითის სრულყოფილად გადმოცემა, რის საშუალებით შეიძლება მითის სრულყოფილად გადმოცემა?

მსგავსება მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის

1 როგორც ბევრი სხვა რიტუალი, ასევე „კეჩაკის“ რიტუალიც დაფუძნებულია რაღაც ისტორიაზე, მითზე. სხვადასხვა მოქმედებით, გამომსახველობითი ხერხებით მითის შინაარსი გადმოცემულია რაღაც ნიშნებით, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია ამოვიცნოთ მისი არსი. გადახედეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილს, რომელშიც ჩამოთვლილია საკვანძო მომენტები. განსაზღვრეთ, რომელ სიუჟეტურ სვლაში რა გამომსახველობითი ხერხებითაა წარმოდგენილი ეს ნიშნები.

	მოძრაობა	ჟესტი	ბგერები/ხმა	რიტმი	განლაგება
მაგიური წრე					
მებრძოლი მაიმუნი					
ორთაბრძოლა					
დემონის განდევნა					



- ცხრილში წარმოდგენილი საკვანძო დეტალებიდან რომელი დაემთხვა თქვენ მიერ წინა აქტივობაში ამოცნობილ ეპიზოდს? შეგიძლიათ ახსნათ, რატომ?
- როგორ შეიძლება აზრობრივად დავაკავშიროთ ეს დეტალები ერთმანეთთან?
- თქვენი აზრით, რიტუალში ყველა ეს დეტალია გადმოცემული?
- გადახაზეთ ცხრილი რვეულში და შეეცადეთ ცარიელ უჯრებში ✓ სიმბოლოთი აღნიშნოთ, თუ რა საშუალებებით იყო გადმოცემული ეს დეტალები (თუკი რომელიმე მათგანი ვერ აღმოაჩინეთ რიტუალში, ამ დეტალის უჯრა ცარიელი დატოვეთ).
- ცხრილში გამომსახველობითი ხერხები წარმოჩენილია თავისუფალი თანმიმდევრობით. შეგიძლიათ დანომროთ ეს გამომსახველობითი ხერხები მათი მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით? გაეცანით თანაკლასელების ნაშრომებს – ვინ როგორ დაახარისხა გამომსახველობითი საშუალებები, შეადარეთ თქვენსას და ახსენით თქვენი მოსაზრება.

2



- როგორ ფიქრობთ, ცალკეული დეტალების წარმოჩენით შესაძლებელია თუ არა მითის არსის გადმოცემა და მათი წარმოსახვით მითის უშუალო მონაწილედ გახდომა? კი – ანუ მითის რეალობად გადაქცევა?
- თქვენი აზრით, რა არის ამისთვის საჭირო? რა ფუნქციის მატარებელია მითსა და რიტუალში ეს დეტალები?

როგორ ფიქრობთ, „კეჩაკის“ რიტუალში მხოლოდ ის დეტალებია წარმოჩენილი, რომლებიც პირველი აქტივობის ცხრილშია მოცემული, თუ არის კიდევ სხვა დეტალებიც, მაგალითად, მელოდიური ხაზი? დადებითი მოსაზრების შემთხვევაში აღწერეთ, რა ფორმითაა ის მოცემული.

როგორც ვიდუოფირში ნახეთ, მონაწილეთა ერთი ნაწილის პერიოდულ შეძახილებს, ბგერათწარმოთქმას თან ერთვის ხმოვანი რიტმული პულსაცია. როგორ ფიქრობთ, ამ დეტალს რაიმე განსაკუთრებული როლი ენიჭება შინაარსის გადმოსაცემად თუ მხოლოდ გამრავალფეროვნებას ემსახურება?

დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ამ რიტმულ ნახაზს. კლასში დაიყავით ორ ჯგუფად და „კეჩაკის“ ვიდუოფაილის მიხედვით შეეცადეთ მიახლოებით მაინც წარმოადგინოთ ეს რიტმული ფიგურაცია ხმით ან ტაპით.



დაფიქრდით, შეცვლიდით თუ არა რაიმეს თქვენ მიერ შევსებულ ცხრილში?

3

პირველ აქტივობაში ცხრილზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ რიტუალით გადმოცემული ისტორია შეიცავს მახასიათებლებს, რომლებიც ერთგვარი ნიშნის ფუნქციას ატარებს. ნიშანი კი მითის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია (და არა მხოლოდ მითის).



მოისმინეთ ხმები და გამოიცანით, რაზე მიგვანიშნებს, რისი ნიშანი შეიძლება იყოს ეს ხმები (გადაიტანეთ რვეულში და პასუხი ჩაწერეთ მართხკუთხედებში ან უპასუხეთ ზეპირად):

ა)

გ)

ბ)

დ)



- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ამ ნიშნების ამოცნობა, თუ არ იცით, რას უკავშირდება ეს ხმები? ახსენით თქვენი პასუხი.
- თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ეს ხმები რაღაც მახასიათებლებით მიახლოავსოთ იმას, რასაც ეს ნიშანი აღნიშნავს? თუ შეიძლება, ახსენით, რა მახასიათებლით ამოიცნობთ მას.
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა ნიშანი არაფრით არ ემსგავსებოდეს იმას, რასაც ის აღნიშნავს? დადებითი მოსაზრების შემთხვევაში, გაიხსენეთ, სადმე თუ გინახავთ ამგვარი ნიშნები და დაასახელეთ ისინი.
- რომელ მუსიკალურ ცნებებს შეიძლება დაუკავშიროთ ეს ნიშნები?

1 ჩამოაყალიბეთ ნიშნის მახასიათებლები. დაასრულეთ წინადადებები:

ა)

ნიშანი არის სხვადასხვა ხერხით გადმოცემული ჩვენი ზოგადი -----
----- საგანზე ან მსგავსი საგნების -----.

ბ)

ნიშანი შეიძლება ----- ან არ ----- საგანს,
რომელზეც იგი -----.

2 უამრავი ნიშანი გინახავთ, რომელთაც სრულიად განსხვავებული დანიშნულება აქვთ. დაასახელეთ, რა სახის ნიშნები იცით.

დააკვირდით ქვემოთ გამოსახულ ნიშნებს და გამოიცანით, რას აღნიშნავენ ისინი. გადაიტანეთ რვეულში და ცარიელ გრაფებში ჩაწერეთ ციფრები:

1-იანი მიუწერეთ იმ ნიშანს, რომელიც აღნიშნავს იმ საგანს, რასაც ხედავთ;

2-იანი მიუწერეთ იმ ნიშანს, რომელიც პირდაპირ არ აღნიშნავს საგანს, მაგრამ ასოციაციურად უკავშირდება მას;

3-იანი კი მიუწერეთ ნიშანს, რომელიც არც ერთი წინა მახასიათებლით არ უკავშირდება გამოსახულ საგანს, მისი მნიშვნელობა უბრალოდ უნდა იცოდეთ.















- რამდენ ნიშანს დაუნერეთ ციფრი 3?
- რამდენ ნიშანს დაუნერეთ ციფრი 1?
- რისი ასოციაცია გამოიწვია თქვენში ნიშნებმა, რომლებსაც 3-იანი მიუწერეთ?

დააკვირდით რალაცის აღმნიშვნელ ნიშანს. ივარაუდეთ, რას უნდა ნიშნავდეს ის. დაასახელეთ, რა ციფრს მიუწერდით და ახსენით თქვენი არჩევანი.



- თუ გაიგებთ, რომ ეს იეროგლიფი ნიშნავს ტყეს, შეცვლით თქვენს პასუხს? თუ შეცვლით, რა ციფრს დაუნეროთ ამ შემთხვევაში?
- კვლავ გადახედეთ მე-14 გვერდზე თქვენ მიერ შევსებულ ცხრილს. თქვენი აზრით, რა ტიპს მიეკუთვნება რიტუალ „კეჩაკის“ გამომსახველობითი ხერხები?
- გამოთქვით თქვენი აზრი და ახსენით, არის თუ არა მსგავსი ტიპის ნიშნები მუსიკაში.

მუსიკაშიც ასევეა, ზოგადად, ნიშნები ამ მახასიათებლებით კლასიფიცირდება და მათ კონკრეტული სახელწოდებაც აქვთ – აიკონი, ინდექსი, სიმბოლო.

დაიმახსოვრე!

აიკონი – პირდაპირ ასახავს იმას, რასაც აღნიშნავს;
ინდექსი – ასოციაციურად უკავშირდება იმას, რასაც აღნიშნავს;
სიმბოლო – არანაირი მახასიათებლით არ უკავშირდება იმას, რასაც აღნიშნავს.

მივუბრუნდეთ მუსიკას და გავარკვიოთ, როგორ ამოვიცნოთ აიკონი, ინდექსი და სიმბოლო მუსიკაში.

3 მოიმარჯვეთ ფურცელი და კალამი. დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ნიშანს და მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს.



იმ ფრაგმენტს, რომელიც, თქვენი აზრით, წარმოაჩენს ამ ნიშანში გამოსახულების რაიმე მახასიათებელს (ან ინტონაციურად ბაძავს მის ხმას, ან გადმოსცემს დამახასიათებელ მოძრაობას...), მიუწერეთ „აიკ.“ (აიკონი); იმ ფრაგმენტს, რომელიც, თქვენი აზრით, ამ გამოსახულებას მხოლოდ ემოციურად უკავშირდება, რაიმეს ასოციაციას იწვევს თქვენში, მიუწერეთ „ინდ.“ (ინდექსი); მუსიკალურ ფრაგმენტს, რომელიც არანაირად არ უკავშირდება გამოსახულებას, მიუწერეთ „სიმ.“ (სიმბოლო):



1)

2)

3)



გადაიტანეთ რვეულში და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

ა) თქვენი აზრით, გამოსახულების რა მახასიათებელს წარმოაჩენს თქვენ მიერ შერჩეული „აიკონი“?

ბ) რა ემოციური კავშირი აქვს გამოსახულებასთან თქვენ მიერ შერჩეულ „ინდექსს“?



გ) განმეორებით ყურადღებით მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტს, რომელსაც „სიმბოლო“ შეურჩიეთ. მუსიკის ხასიათიდან გამომდინარე, მოიფიქრეთ, რა სიმბოლურ დატვირთვას შეიძლება ანიჭებდეს გამოსახულებას ეს მუსიკალური ფრაგმენტი.



4 ამოვიცნოთ მუსიკალური ნიშნები.

მოისმინეთ სამი მუსიკალური ფრაგმენტი და ამოიცანით, რომელია მუსიკალური აიკონი, ინდექსი და სიმბოლო.

1) 2) 3)



ა) თქვენი აზრით, რას აღნიშნავს თქვენ მიერ შერჩეული მუსიკალური აიკონი?

ბ) მუსიკის რა მხატვრული ხერხებითაა ეს სახე გამოსახული?

გ) შეძელით თუ არა მუსიკალური ინდექსის მუსიკალური სიმბოლოსგან განსხვავება? განმარტეთ თქვენი პასუხი.

დ) შეეცადეთ თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბოთ – რა არის საჭირო იმისთვის, რომ მუსიკალური გამონათქვამი მუსიკალურ სიმბოლოდ ჩაითვალოს?



5

მოისმინეთ ტექსტი, რომელსაც მასწავლებელი წაგიკითხავთ. შეადარეთ ეს ტექსტი თქვენ მიერ ჩამოყალიბებულ თეზისს მუსიკალურ სიმბოლოსთან დაკავშირებით და უპასუხეთ კითხვებს (წერილობით ან ზეპირად):



ა) რა დაემთხვა ტექსტში წარმოთქმულ თეზისებსა და თქვენ მიერ ჩამოყალიბებულ თეზისებში?

ბ) რა პირობაა საჭირო იმისათვის, რომ განვასხვავოთ ერთმანეთისგან მუსიკალური ინდექსი და მუსიკალური სიმბოლო?



გ) მოუსმინეთ კიდევ ერთ მუსიკალურ ფრაგმენტს.

როგორ ფიქრობთ, თუ ამ ნაწარმოებს დავაკავშირებთ სიტყვებთან – „სევდიანი სიმღერა“, ეს იქნება მუსიკალური ინდექსი თუ მუსიკალური სიმბოლო? ახსენით თქვენი პასუხი.

დ) იმ შემთხვევაში, თუ ამ მუსიკალურ ფრაგმენტს დავუკავშირებთ სიტყვებს – „შემოდგომის სიმღერა“, რა მუსიკალურ ნიშნად გადაიქცევა ის?

ახსენით თქვენი მოსაზრება.

რიტუალური ცეკვები

მითები იმ წარმოდგენების გამოძახილია, რომლის მიხედვითაც ადამიანებს სწამდათ, რომ მუსიკისა და ცეკვის საშუალებით ღმერთებს მოუხმობდნენ და ამით საზოგადოებას ახალ სასიცოცხლო ძალას შთაბერავდნენ. მითის შინაარსი „გაცოცხლებულია“ რიტუალში, რომელიც მრავალი სიმბოლური ქცევის ნაკრებია, რომელიც ტარდება ფიქსირებული მიმდევრობით და პერიოდულად მეორდება.



ყურადღებით დააკვირდით რიტუალური ცეკვების ამსახველ ვიდეოფრაგმენტებს და ფურცელზე ჩამოწერეთ ცეკვების დასახელებები. მიუწერეთ ნიშანი $\triangle$ – იმ რიტუალს, რომლის ყველა კომპონენტი, თქვენი აზრით, აიკონია; ნიშანი X – ინდექსს, ხოლო ნიშანი $*$ – სიმბოლოს.



წეროების რიტუალური ცეკვა
იაპონია



არწივის
რიტუალური ცეკვა
ამერიკა



შავქუდიანების ცეკვა
ტიბეტი



თეთრი დემონის ცეკვა
ბალი



„გუანინის ათასი ხელი“
ჩინეთი

კომპლექსური დავალება 1



დასმული კითხვების მიხედვით წერილობით შეასრულეთ დავალება ესეს სახით:

- ა) ახსენით, რატომ აღნიშნეთ ამ სიმბოლოებით ეს რიტუალები.
- ბ) თქვენი აზრით, რას შეიძლება ასახავდეს წეროების რიტუალური ცეკვა?
- გ) რა განცდას გიტოვებთ ამ რიტუალის მუსიკალური კომპონენტი?
- დ) აღწერეთ არწივის რიტუალური ცეკვის მუსიკალური თანხლება.
- ე) რა შინაარსის უნდა იყოს შავქუდიანების ცეკვა? თქვენი აზრით, რა ეფექტს აღწევს ტიბეტური საყვირი (დუნგჩენი) ამ რიტუალური ცეკვაში?
- ვ) 1) რა წარმოდგინეთ „გუანინის ათასი ხელის“ ცეკვის ნახვისას, რაზე შეიძლება მოგვითხრობდეს ეს მითი?
- 2) თქვენი აზრით, ამ ცეკვაში რა ასრულებს უფრო მნიშვნელოვან როლს: მოძრაობა, მიმიკა, სიმბოლიკა, მუსიკალური თანხლება თუ ყველა თანაბარმნიშვნელოვანია? დანომრეთ თავ-თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით; მოიყვანეთ არგუმენტები.
1. -----
2. -----
- ზ) აღწერეთ თეთრი დემონის რიტუალური ცეკვის მუსიკალური მახასიათებლები.
- თ) რომელმა რიტუალმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება? ახსენით, რატომ.
- ი) როგორ ფიქრობთ, რომელი რიტუალის მუსიკალურ კომპონენტში გამოიყენება ტრადიციული მუსიკის ელემენტები? დაასახელეთ ეს ელემენტები.
- კ) თქვენი აზრით, რომელი რიტუალების თანხლები მუსიკის გამომსახველობითი ხერხები განსხვავდება ტრადიციული მუსიკის გამომსახველობითი ხერხებისგან?
- ახსენით, რით განსხვავდება.
- ლ) როგორ ფიქრობთ, რომელ რიტუალს მოუხდებოდა ასეთი განმარტება: „ცხოვრების უწყვეტი ციკლი“? ახსენით, რატომ.

კომპლექსური დავალება 2



გაეცანით ქვემოთ მოყვანილ ტექსტს და კითხვებს. LMMS პროგრამის დახმარებით შექმენით კომპოზიცია სკანდინავიური მითის მიხედვით:



თორისა და მიდგარდის ორთაბრძოლა

ოკეანეს სიღრმეში მთელ დედამიწას საშინელი გველი მიდგარდი შემოხვეოდა. დიდი ხანია ჭექა-ქუხილის ღმერთს, თორს, სურდა სამყარო ამ ურჩხულისგან ეხსნა. ამისი ღროც დადგა. თორმა დახმარებისთვის გოლიათ გიმირს მიმართა, რომელსაც სთხოვა სათევზაოდ თან წაეყვანა. გიმირს ღმერთები არ უყვარდა, ამიტომაც თორის დანახვა სრულიადაც არ გახარებია. თავიდან რომ მოეშორებინა თორი, გიმირმა უთხრა: თევზს სატყუარა სჭირდება, მე მხოლოდ ჩემთვის მაქვსო. თორმა უპასუხა: არა უშავს, ვიშოვიო. მერე საძოვარზე გავიდა, ერთი მთისხელა ხარი დაიჭირა და თავი მოაძრო. შემდეგ თავი გიმირს აჩვენა: აი, ჩემი სატყუარაო. გიმირმა ნიჩბები თორს მიაწოდა, შენ გაიყვანე ნავი ზღვაშიო. თორმა ისე მარჯვედ მოიქნია ნიჩბები, რომ ძალიან მალე ნავი შუა ოკეანეში აღმოჩნდა. შეშინებულმა გიმირმა თორს შესძახა: ძალიან შორს გასცურე, ემანდ მიდგარდის სამფლობელოში არ აღმოვჩნდეთო. სწორედ იქით მივცურავო, – მიუგო თორმა. მალე ტალღებში მიდგარდის საშინელი თავი გამოჩნდა. თორმა ნემსკავზე ხარის თავი ჩამოაცვა და ანკესი მიდგარდისკენ ისროლა. მიდგარდი ხარის თავს ეძგერა, ანკესზე წამოეგო და ნავის ოკეანის უფსკრულში ჩათრევა დაიწყო. შეშინებულმა გიმირმა ანკესის თოკი გადაჭრა და მიდგარდიც უმაღლეს ნაპირზე ჩაიმაღლა. „ვერ გამექცევი!“ – იყვირა თორმა და თავისი ურო ესროლა ურჩხულს. წყლიდან საშინელი ხმა მოისმა. თორს სისხლიანი ურო უკან დაუბრუნდა. ანკესის თოკის გადაჭრის გამო გაბრაზებულმა თორმა გიმირს სილა გააწნა. მოკლა თუ არა თორმა მიდგარდი, არავინ იცის. ბედისწერის ქალღმერთები კი ირწმუნებიან, რომ თორისა და მიდგარდის ორთაბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის. ეს ბრძოლა ორივესთვის საბედისწერო გახდება. როდის დადგება ეს დღე, არავის უმხელენ.

გაეცანით ინსტრუქციებს, რომლებიც დავალების შესრულებაში დაგეხმარებათ:

რიტუალში ამბავი გმირების დახასიათებებისა და საკვანძო დეტალების მეშვეობით გადმოიცემა. ეს დეტალები სხვადასხვა ნიშნით გამოისახება. გთავაზობთ ამ მითის გმირებისა და საკვანძო დეტალების ჩამონათვალს. შეარჩიეთ გმირები და დეტალები თქვენი სურვილით. გადაიტანეთ ტექსტი რვეულში და შეარჩეულებს მიუწერეთ, რა ტიპის ხმოვანი ნიშნით გსურთ მათი ასახვა – აიკონით, ინდექსით თუ სიმბოლოთი.



მოუსმინეთ რამდენიმე მოტივს. მიუსადაგეთ თითოეული მათგანი ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე მხატვრულ სახეს.

- | | |
|---------------------|-------|
| ა) თორი | ----- |
| ბ) გიმირი | ----- |
| გ) მიდგარდი | ----- |
| დ) ნიჩბების მოქნევა | ----- |
| ე) ოკეანე | ----- |
| ვ) ურო | ----- |
| ზ) უროს მოქნევა | ----- |
| თ) მიდგარდის კივილი | ----- |
| ი) ბედისწერა | ----- |

- კომპოზიციის ასაგებად თავად გადაწყვიტეთ, მუსიკის რომელ გამომსახველობით ხერხს გამოიყენებთ შერჩეული ეპიზოდის ნიშნების გადმოსაცემად (რიტმული ფიგურაცია, ინტონაცია/მოტივი, ინტერვალი, დეკლამაცია, ხმა/ხმაური);
- როგორც შეამჩნევდით, არ არის აუცილებელი ამ დეტალების კომპოზიციაში დალაგება იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ის ტექსტში ჩნდება. შეგიძლიათ ეს ნიშნები დაალაგოთ თქვენი სურვილის მიხედვით.
- მოიფიქრეთ, რომელი დეტალით/ნიშნით შეკრავთ კომპოზიციას. ეს დეტალი ყველაზე ხშირად უნდა მეორდებოდეს კომპოზიციის სხვადასხვა ადგილას ან მუდმივად ჟღერდეს მთელი კომპოზიციის განმავლობაში.

შეგიძლიათ თავადაც შეარჩიოთ მუსიკა, რომელსაც ინტონაციურად დაუკავშირებთ რომელიმე მხატვრულ სახეს და გამოიყენებთ ლაიტმოტივად.

თქვენი ნაშრომის პრეზენტაციისას ისაუბრეთ, რატომ აირჩიეთ დაწყებისას ან დამთავრებისას ესა თუ ის მოტივი, რომელი მოტივი გამოიყენეთ ფონად კომპოზიციის შესაკრავად და რატომ, როგორ იმუშავებთ კულმინაციაზე.

მითი მსხვილი ფორმის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრებში

მითი ოპერაში

თქმულება ზიგფრიდზე

რიჰარდ ვაგნერის ტეტრალოგია* „ნიბელუნგის ბეჭედი“



რიჰარდ ვაგნერი
1813-1883

ისტორია მხოლოდ შემთხვევით, წარმავალს ასახავს, მარადიული და ჭეშმარიტად ადამიანური კი მხოლოდ მითებსა და ლეგენდებში არსებობს, მითიური გმირი კი ზოგადსაკაცობრიო იდეალების მატარებელია.

Richard Wagner

რიჰარდ ვაგნერი

გერმანელი კომპოზიტორი რიჰარდ ვაგნერი უნივერსალური ხელოვანი იყო – კომპოზიტორი, დირიჟორი, პოეტი, ლიბრეტისტი, პუბლიცისტი. მუსიკის ისტორიაში იგი შევიდა, როგორც ოპერის ერთ-ერთი უდიდესი რეფორმატორი. მისმა შემოქმედებამ ძირეულად შეცვალა დამოკიდებულება საპერო ჟანრისა და, ზოგადად, მუსიკისადმი.

მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო გერმანული მითოლოგიის გაცოცხლება და მის მაგალითზე ეროვნული ღირებულებების წარმოჩენა.

ვაგნერმა თავის ოპერებში გამოხატა ადამიანის სულიერი სიმდიდრე და სიღრმე, გააცოცხლა გერმანული ლეგენდებისა და თქმულებების სამყარო.

* ტეტრალოგია – ოთხი ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომლებსაც ერთი დედააზრი აერთიანებს.

მითი არ არის მხოლოდ მოყოლილი ამბავი, მითი არის სამყაროს მოწყობის სიმბოლური ასახვა, რომელშიც ამბავი შეიძლება გადმოცემული იყოს სხვადასხვა ნიშნით – სიმბოლოებით. როგორ ამოვიცნოთ ეს ნიშანი-სიმბოლოები მსხვილი ფორმის ნაწარმოებებში და, კერძოდ, ოპერაში? ამას შევიტყობთ გერმანული ეპოსის გმირის, ზიგფრიდის, ისტორიის მაგალითზე, რიჰარდ ვაგნერის ტეტრალოგიის – „ნიბელუნგის ბეჭდის“ განხილვისას.

ტეტრალოგია შემდეგი ოპერებისგან შედგება: „რაინის ოქრო“, „ვალკირია“, „ზიგფრიდი“ და „ღმერთების დაისი“.

შემდგომ გაკვეთილებზე ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე საკვანძო დეტალს ამ ოპერებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ვაგნერმა ოპერის შექმნა გადაწყვიტა გერმანული ეპოსის ყველაზე პოპულარული გმირის, ზიგფრიდის, ისტორიაზე. კომპოზიტორის მიზანი იყო არა მხოლოდ ზიგფრიდის გმირული სახის წარმოჩენა, არამედ მსმელისთვის სამყაროს მოწყობაზე საკუთარი წარმოდგენების მითის სახით გაზიარება.

მუშაობისას აღმოჩნდა, რომ ამ იდეის სრულყოფილად გადმოსაცემად ერთი ოპერით ვერ შემოიფარგლებოდა.

ციკლიდან ინდივიდუალური ნაწარმოებები ზოგჯერ ცალკეც სრულდება, მაგრამ ვაგნერის განზრახვა მათი ერთმანეთის მიყოლებით შესრულება იყო. ჩანაფიქრმა მასშტაბური სახე მიიღო და საოპერო ციკლად, ტეტრალოგიად იქცა, რომელსაც საბოლოოდ „ნიბელუნგის ბეჭედი“ ეწოდა.

ბავარიის მეფის, ლუდვიგ II-ის, დახმარებით ვაგნერმა 1876 წელს გახსნა საოპერო თეატრი ბაიროითში (ქალაქი გერმანიაში), სადაც დღემდე მხოლოდ მისი ოპერები იდგმება. „ნიბელუნგის ბეჭედი“ პირველად სწორედ აქ შესრულდა.

ტეტრალოგიის პრემიერა სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, ოთხივე ოპერის წარმოდგენა თითქმის 15 საათს გაგრძელდა.


ვაგნერის ნაწარმოებების შესრულება ბაიროითის ფესტივალზე წლების განმავლობაში ტრადიციად იქცა, რომელიც აცოცხლებს მის ოპერებში გადმოცემულ მითს.



ბაიროითის თეატრი



ბაიროითის
საფესტივალო
დარბაზი



რ. ვაგნერი „ნიბელუნგის ბეჭედზე“ მუშაობისას მხატვარი – მერი ევანსი

1 მითის გადმოსაცემად ვაგნერმა რიტუალისთვის დამახასიათებელ გამომსახველობით ხერხს – ნიშნებს – მიმართა. ეს მუსიკალური ნიშნები ტეტრალოგიის ოთხივე ოპერაში გვხვდება და მუსიკალური ენით მითის სრულყოფილ ასახვას ემსახურება. ვიდრე უშუალოდ მითის შინაარსზე ვისაუბრებდეთ, მოუსმინეთ ტეტრალოგიის ოთხივე ოპერისთვის მნიშვნელოვან მუსიკალურ ნიშნებს და შეავსეთ ცხრილი ინსტრუქციის გათვალისწინებით.

ინსტრუქცია:

შეეცადეთ, გამოიყენოთ წინარე ცოდნა და მუსიკალური ფრაგმენტები ცხრილში მოცემულ ნიშნებს დაუკავშიროთ:

- ყურადღებით მოუსმინეთ თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს; გადაწყვიტეთ, მითის რომელ დეტალს მიანიჭებთ მუსიკალურ ნიშან აიკონს, რომელს – ინდექსს და რომელს – სიმბოლოს;
- ცხრილი გადაიტანეთ ფურცელზე. ფრაგმენტის ნომერი ჩაწერეთ ცხრილში დეტალის სვეტისა და მუსიკალური ნიშნის სახეობის სტრიქონის გადაკვეთაზე. იხილეთ ნიმუში (ციფრი პირობითია):

ტეტრალოგია „ნიბელუნგის ბეჭდის“ საკვანძო დეტალები						
	ბეჭედი	ალთემის შუბები	ნიბელჰაიმი, მინისქვეშეთი, სადაც ჯუჯა ნიბე- ლუნგებმა ბეჭედი გამოჭედეს	ვალჰალა, ღმერთებისა და გმირების სამყოფელი	ზიგფრიდი	ხმალი
მუს. აიკონი		3				
მუს. ინდექსი						
მუს. სიმბოლო						

გაეცანით ტეტრალოგიის პირველი ოპერის „რაინის ოქროს“ ძირითად სიუჟეტურ სვლებს. გადახედეთ ქვემოთ მოცემულ ყველა სიუჟეტურ სვლას. თქვენ მიერ შევსებული პირველი ცხრილიდან რომელი საკვანძო დეტალებია ნახსენები ამ სიუჟეტურ სვლებში?

1. ყველასათვის საძულველი, უშნო ქონდრისკაცი ნიბელუნგი ალბერისი მდინარე რაინის წყლებში დამალულ ღმერთების ოქროს იპარავს და ამ ოქროსგან ბეჭედს იკეთებს. ამ ბეჭდით მას მთელი სამყაროს დამონება სურს.

2. უზენაესი ღმერთი – ვოტანი, გოლიათებს ვალჰალას – ღმერთებისა და გმირების სამყოფლის – მოპირკეთებას სთხოვს.

3. ვოტანმა გოლიათებთან აღთქმა დადო და ეს აღთქმა თავის შუბებს დაანერა. აღთქმის თანახმად, მას გოლიათებისთვის შრომის საფასურად თავისი მეუღლის და, ახალგაზრდობის ქალღმერთი ფრეია, უნდა ეჩუქებინა. მოგვიანებით ვოტანმა გადაიფიქრა და გოლიათებს ფრეიას სანაცვლოდ რაინის ოქრო შესთავაზა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ გოლიათები დათანხმდნენ.

4. ვოტანს ნიბელუნგების სამყოფელში – მიწისქვეშეთში – ჩასვლა მოუწია. იქ ნიბელუნგ ალბერისს ბეჭდის ძალით ყველა ნიბელუნგი დამონებული ჰყავდა და ოქროს მოპოვებას აიძულებდა. ვოტანმა ტყუილის მეშვეობით ალბერისი შეიპყრო.

5. ვოტანმა ალბერისს გოლიათებისთვის ოქროს მიცემა აიძულა. ალბერისმა ბეჭდის ძალა გამოიყენა და ნიბელჰაიმიდან ნიბელუნგებს ოქრო ამოატანიდა. ვოტანმა ალბერისს ბეჭედიც წაართვა და გოლიათებს მისცა. განრისხებულმა ალბერისმა დაწყევლა ბეჭედი. ამიერიდან მას, ვინც ბეჭედს დაეპატრონება, უბედურება ელის.

6. როდესაც ბეჭდის გამო ერთმა გოლიათმა მეორე მოკლა, ვოტანი მიხვდა, რომ ბეჭდის წყევლა მთელ ქვეყანას ემუქრებოდა. ვოტანს იმედად ისლა რჩებოდა, რომ ადრე თუ გვიან დადგებოდა დრო და ქვეყანას დიდი გმირი მოევლინებოდა, რომელიც თავისი ჯადოსნური ხმლით ქვეყნიერებას წყევლისგან იხსნიდა.



- ყურადღება მიაქციეთ გამუქებულ ტექსტებს. რომელ სიუჟეტურ სვლებშია ოპერის რამდენიმე საკვანძო დეტალი ერთდროულად ნახსენები? დაასახელეთ ამ სიუჟეტური სვლების ნომრები;
- რამდენია ისეთი სიუჟეტური სვლა, რომელშიც ცხრილში მოცემული მხოლოდ ერთი დეტალია ნახსენები?
- რომელი დეტალია ყველაზე ხშირად ნახსენები?

გაიხსენეთ თითოეული დეტალის შესაბამისი ლაიტმოტივი (მუსიკალური ნიშანი) და ამოიცანით, შემოთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტებში რომელი ესადაგება აქ მოცემულ თითოეულ სიუჟეტურ სვლას.

როდესაც ყველა ლაიტმოტივს ამოიცნობთ, შეეცადეთ ეს ფრაგმენტები აქ მოცემულ სიუჟეტურ სვლებს მიუსადაგოთ. ამაში დაგეხმარებათ ტექსტებში ხაზგასმული წინადადებები და მუსიკალურ ფრაგმენტებში გაჟღერებული ლაიტმოტივები.

გადაიტანეთ რვეულში და კვადრატებში ჩანერეთ, რომელ სიუჟეტურ სვლას რომელ ნომრად მოსმენილ ფრაგმენტს მიუსადაგებთ:

ა) სიუჟეტური სვლა 1 მუს. ფრაგმენტი

ბ) სიუჟეტური სვლა 2 მუს. ფრაგმენტი

გ) სიუჟეტური სვლა 3 მუს. ფრაგმენტი

დ) სიუჟეტური სვლა 4 მუს. ფრაგმენტი

ე) სიუჟეტური სვლა 5 მუს. ფრაგმენტი

ვ) სიუჟეტური სვლა 6 მუს. ფრაგმენტი



მოუსმინეთ რამდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს და უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ ფრაგმენტში გაჟღერდა ლაიტმოტივი ვოკალურ პარტიაში?
- რომელ ფრაგმენტში ჟღერს ლაიტმოტივი ორკესტრში ვოკალურ პარტიასთან ერთად?
- რომელი ლაიტმოტივი არ გაჟღერებულა? როგორ ფიქრობთ, რატომ?



ქალწულები რაინის ოქროს იცავდნენ,
ქონდრისკაცმა ალბერიხმა კი მათ ეს
ოქრო მოპარა.

1 მოუსმინეთ ორ მუსიკალურ ნაწყვეტს ოპერიდან „რაინის ოქრო“ და გაეცით პასუხი კითხვებს:

- ა რომელ ნაწყვეტში ჟღერს უზენაესი ღმერთის, ვოტანის, პარტია და რომელში – ქონდრისკაცის, ნიბელუნგ ალბერხის, პარტია? ახსენით, რა ნიშნით ამოიცანით ეს პარტიები;
- ბ რა საერთო მახასიათებლები აქვს ამ ორი პერსონაჟის ვოკალურ პარტიებს?
- გ რით განსხვავდება ამ ორი პერსონაჟის პარტიები? ჩამოწერეთ ის მუსიკალური მახასიათებლები, რომლებიც შეამჩნიეთ;
- დ ქვემოთ მოცემულია ალბერხისა და ვოტანის ვოკალური პარტიის სანოტო ჩანაწერები. მოსმენილი ფრაგმენტების მიხედვით ამოიცანით, რომელი მაგალითი რომელ პერსონაჟს ეკუთვნის (ერთი მაგალითი ზედმეტია, დაასახელეთ, რომელი), ამაში ინსტრუქცია დაგეხმარებათ:

ინსტრუქცია

- დააკვირდით, რომელ გასაღებშია დაწერილი ეს ვოკალური პარტიები – ბანის თუ ვიოლინოს;
- დაასახელეთ, რა სახის რიტმული ფიგურაციები გვხვდება; რომელ სანოტო მაგალითში გვხვდება ყველაზე ხშირად პუნქტირული რიტმი? თქვენი აზრით, რომელი პერსონაჟის დასახასიათებლად გამოიყენა კომპოზიტორმა ეს რიტმი და რატომ; რომელი პერსონაჟის პარტიაშია გაბმული მელოდირი ხაზი და რომელში – წყვეტილი? დაასახელეთ, რის მიხედვით ამოიცანით.

პუნქტირული რიტმის მაგალითები:




Andante



Allegro



- 2 ე ამოიცანით, რომელი სანოტო ჩანაწერის მელოდიური ხაზის გრაფიკული გამოსახულებებია:



- მ წერილობით აღწერეთ ეს გრაფიკული გამოსახულებები;
- ზ კიდეც ერთხელ მოუსმინეთ ორ ფრაგმენტს, რომლებიც სანოტო მაგალითებზე მოცემულია II და III ნომრებით.

რამდენად დაგეხმარათ სანოტო მაგალითები და მელოდიური ხაზის გრაფიკული გამოსახულებები ვოკალური პარტიების მახასიათებლების განსაზღვრაში? შეადარეთ თქვენ მიერ ჩანიშნული მახასიათებლები სანოტო მაგალითებისა და მელოდიური ხაზის გრაფიკული გამოსახულებების გარჩევამდე და გარჩევის შემდეგ.

აღწერეთ ამ ორი პერსონაჟის სახე ამ მახასიათებლების მიხედვით;

- თ თქვენი აზრით, ოპერის რომელი პერსონაჟების მხატვრული სახეები აქვს კომპოზიტორს გადმოცემული ამ ლაიტმოტივებით?
- ისაუბრეთ, მუსიკის რომელი მახასიათებლების მიხედვით ივარაუდეთ ასე.
- ი რა ლაიტმოტივებია გამოყენებული მათი მხატვრული სახის წარმოსაჩენად?
- კ ჩამონათვალიდან ამოარჩიეთ, თქვენი აზრით, რატომ იყენებს კომპოზიტორი ამ ლაიტმოტივებს პერსონაჟების მხატვრული სახის წარმოსაჩენად:
- ისინი ბედისწერით არიან დაკავშირებულნი;
 - ლაიტმოტივები გადმოსცემს ამ პერსონაჟების მისწრაფებებს;
 - სხვა.
- ახსენით თქვენი მოსაზრება.



ვალჰალა – ღმერთებისა და
გმირების სამყოფელი
მხატვარი მაქს ბრუკნერი (1896 წ.)

1

ნინა გაკვეთილებზე მოისმინეთ ფრაგმენტები ოპერადან „რაინის ოქრო“. ეს ტეტრალოგიის პირველი ოპერაა, სადაც წარმოჩენილია „ნიბელუნგის ბეჭდის“ მთლიანი სიუჟეტური კვანძი და მთავარი ლაიტმოტივები, რომლებიც შემდგომ ოთხივე ოპერაში გვხვდება.

დანარჩენ ოპერებში ჩნდება ახალი ლაიტმოტივები, რომლებიც, ძირითადად, „რაინის ოქროს“ ლაიტმოტივებისგან არის წარმოქმნილი.

კიდევ ერთხელ მოისმინეთ „რაინის ოქროში“ გაჟღერებული ლაიტმოტივები და შემდეგ გავეცნოთ ახლებსაც.

სქემა გადაიტანეთ ფურცელზე და კვადრატებში ჩაწერეთ, რომელ ნომრად მოისმინეთ ის ფრაგმენტი, რომელიც მის გასწვრივ მდებარე სიუჟეტურ დეტალს მიაკუთვნეთ:

ა) ხმალი	☐	ფრაგმენტი
ბ) ბეჭედი	☐	ფრაგმენტი
გ) ალთქმის შუბები (ალთქმა)	☐	ფრაგმენტი
დ) ვალჰალა	☐	ფრაგმენტი
ე) გმირული სიყვარული	☐	ფრაგმენტი
ვ) ნიბელჰაიმი	☐	ფრაგმენტი
ზ) დრაკონი ფაფნერი	☐	ფრაგმენტი
თ) ბეჭდის წყევლა	☐	ფრაგმენტი
ი) ღმერთების ანდერძი	☐	ფრაგმენტი



➤ რამდენი ახალი დეტალი დაემატა სიუჟეტური დეტალების ჩამონათვალს? დაასახელეთ ისინი;

➤ აღწერეთ ის მუსიკალური ფრაგმენტი, რომელიც ბეჭდის წყევლას მიუსადაგეთ; რა ემოციას იწვევს ის თქვენში? ისაუბრეთ მუსიკის გამომსახველობით ხერხებზე.

თქვენი აზრით, რატომ გამოიყენა კომპოზიტორმა ასეთი მელოდიური სვლა?

➤ შეადარეთ ეს ლაიტმოტივი ბეჭდის ლაიტმოტივს. როგორ ფიქრობთ, რა აქვთ მათ საერთო და რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

➤ თქვენი აზრით, რა ემოციური მუხტის მატარებელია „ღმერთების ანდერძის“ ლაიტმოტივი? რატომ?

➤ რომელი ლაიტმოტივი არ არის წარმოდგენილი ამ ჩამონათვალში?

➤ მოსმენილი ფრაგმენტების მიხედვით, ჰგავს თუ არა ერთმანეთს ეს ლაიტმოტივები? თუ ჰგავს, როგორ ფიქრობთ, ეს უბრალოდ დამთხვევაა თუ კომპოზიტორის გარკვეული ჩანაფიქრი? თუ კომპოზიტორის ჩანაფიქრია, რაში შეიძლება მდგომარეობდეს ის?



ვოტანმა ალბერისს ოქროც და ბეჭედიც წაართვა და გოლიათებს მისცა. განრისხებულმა ალბერისმა ბეჭედი დაწყევლა – ამიერიდან მას, ვინც ბეჭედს დაეპატრონება, უბედურება ელის.

2 დააკვირდით სანოტო ჩანაწერებს, შემდეგ მოისმინეთ ორი აუდიოფრაგმენტი და თითოეული მათგანი მიუსადაგეთ ქვემოთ მოცემულ სანოტო ჩანაწერებს. რომელი ლაიტმოტივი არ გაჟღერებულა?

1)

2)

3)

პასუხი დააფიქსირეთ ზეპირად ან ცხრილი გადაიტანეთ ფურცელზე და შეავსეთ:

სიუჟეტური დეტალი	სანოტო ჩანაწერის №

- მასწავლებელი გაგაცნობთ სწორ პასუხებს და უპასუხეთ კითხვებს:
- დაუშვით თუ არა შეცდომა/შეცდომები უკვე ნაცნობი ლაიტმოტივების ამოცნობისას? ჩამოთვალეთ, რომელი ლაიტმოტივები აგერიათ;
 - ჩამოთვლილთაგან აირჩიეთ თქვენეული შეცდომის მიზეზი:

ა) ვერაფრით ვუკავშირებ სიუჟეტურ დეტალს (ვერც ემოციურად, ვერც მახასიათებლებით);

ბ) არასწორად მახსოვდა;

გ) არ მივაქციე ყურადღება რომელიღაც მახასიათებელს;

დ) სხვა.

- ახალ ლაიტმოტივებთან დაკავშირებით, ახსენით, თქვენი რომელი ვარაუდი დაემთხვა ან არ დაემთხვა სწორ პასუხებს.

1 ლაიტმოტივები, როგორც „ნიბელუნგის ბეჭდის“ მნიშვნელოვანი ელემენტები, წარმოადგენენ განმეორებად თემებს. ისინი მუსიკალურად აღწერენ მოქმედებას, ემოციას, ტექსტში ნახსენებ ან სცენაზე წარმოდგენილ საგანს, ახასიათებენ პერსონაჟს.

შეეცადეთ, ამოიცნოთ ოპერა „ზიგფრიდის“ სიუჟეტური დეტალები ლაიტმოტივის მიხედვით; სქემა გადაიტანეთ ფურცელზე და სიუჟეტურ დეტალებს მიუწერეთ მოსმენილი ლაიტმოტივის ნომერი.

- | | |
|--|---|
| <p>ა</p> <p>☐ დრაკონი ფაფნერი</p> <p>☐ გმირული სიყვარული</p> <p>☐ ნიბელუნგი მიმე</p> <p>☐ ბეჭდის წყევლა</p> | <p>☐ ზიგფრიდი 1</p> <p>☐ ღმერთების ანდერძი</p> <p>☐ ხმალი</p> <p>☐ ზიგფრიდი 2</p> |
|--|---|

ბ ოპერის ფრაგმენტებში ამოიცანით ეს ლაიტმოტივები, რომლებიც ოპერის პერსონაჟების ცალკეული ფრაზები, რეჩიტატივებია. ამ ფრაგმენტებში ლაიტმოტივები ჟღერს ზოგ შემთხვევაში ორკესტრში, ზოგ შემთხვევაში კი – ვოკალურ პარტიაში. ქვემოთ მოცემული ფრაზების მარცხნივ მდებარე ცარიელ კვადრატებში ფურცელზე ჩაწერეთ მათი ნომრები.

- | | |
|---|--|
| <p>☐</p> <p>☐</p> <p>☐</p> <p>☐</p> <p>☐</p> <p>☐</p> <p>☐</p> <p>☐</p> | <p>მარად იხილავ ჩემში შენი ნათელი სახის ანარეკლს, ღმერთივით უმანკოს და ბრწყინვალეს!</p> <p>დადგა ჩემი აღსასრულის დღე!</p> <p>ვჩუქნი მას, ვინაც არ იცის შიში.</p> <p>ჰეი, მიმე! ცოცხლად! მითხარი, რა ერქვა ხმალს, ქვიშად რომ ვაქციე?</p> <p>მშოიდა და საჭმელიც მოვიდა!</p> <p>ჰეი, ვაი-მჭედელო! აი, როგორ კვეთს ჩემი ხმალი!</p> <p>შენ ჩემი ცოდნით სიბრძნეს შეიძენ, ცოდნით, რომელიც მე სიყვარულით შევიმეცნე.</p> <p>ნოტუნგი დაამშვენებდა მის მარჯვენას, ნამსხვრევებისგან მისი გამოჭედვა რომ შემეძლოს.</p> |
|---|--|

განმეორებით მოისმინეთ დრაკონ ფაფნერის ლაიტმოტივი. განსაზღვრეთ რეგისტრი და დაახასიათეთ ფაფნერი ამ ლაიტმოტივის მიხედვით, ისაუბრეთ, როგორი მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხებით აქვს გადმოცემული კომპოზიტორს მისი მხატვრული სახე.

დააკვირდით ამ ლაიტმოტივის ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერს, რა ინტერვალებზეა მოძრაობა? დაგეხმარათ თუ არა ბგერების ამგვარი მოძრაობა ფაფნერის მხატვრული სახის წარმოდგენაში? ახსენით თქვენი პასუხი.



„რაინის ოქრო“ მოგვითხრობს, რომ უზენაესმა ღმერთმა ვოტანმა ნიბელუნგ ალბერის ძალაუფლების ბეჭედი და რაინის ოქრო წაართვა და გოლიათებს ვალჰალას მშენებლობის საფასურად გადასცა. განრისხებულმა ალბერისმა ბეჭედი დაწყველა და ამ წყევლის ძალამ მალევე იჩინა თავი. გოლიათმა ფაფნერმა თავისი ძმა, ფაზოლტი, ბეჭდის გამო მოკლა, ფაფნერი დრაკონად გადაიქცა და განძის დარაჯად დადგა, ვოტანმა კი ჯადოსნური ბეჭდის ხელში ჩაგდება მოისურვა. მაგრამ, ვინაიდან მას გოლიათებთან დადებული აღთქმის დარღვევა არ შეეძლო, გადანწყვიტა ბეჭედი ისეთი გმირის მემკვიდრით მოეპოვებინა, რომელიც აღთქმისგან თავისუფალი იქნებოდა. ეს გმირი ზიგფრიდი უნდა გამხდარიყო.

აქედან იწყება ოპერა „ზიგფრიდში“ გადმოცემული ისტორია. ნაიკითხეთ ოპერის მოკლე შინაარსი და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიუჟეტური ფრაზების ნომრები წინა აქტივობაში მოთავსებული აქტივობის ბ) პუნქტიდან.



ვოტანმა ნიბელუნგ ალბერის ძალაუფლების ბეჭედი და რაინის ოქრო წაართვა და გოლიათებს გადასცა.

„ალბერის ძმა, მიმე, ზის გამოქვაბულში და ხმლის გამოჭედვას ცდილობს. ნიბელუნგები მჭედლობაში ხომ ოსტატები არიან, მაგრამ ყველა ხმალი, რომელიც მიმემ გამოჭედა, ზიგფრიდმა ნამსხვრევებად აქცია. ---, - ფიქრობს მიმე. უცებ ზიგფრიდი გამოჩნდა, ტყიდან დათვის ბელი მოიყვანა და მიმეს მიუქსია. მიმე ზიგფრიდს საყვედურობს – საკუთარ მშობლებს ასე არ ექცევიან! ზიგფრიდს არ სჯერა, რომ უშნო ქონდრისკაცი მიმე მისი მშობელია. მიმე იძულებულია, ზიგფრიდს დედამისზე მოუყვეს: მიმემ ზიგფრიდის მომაკვდავი დედა ტყიდან თავის გამოქვაბულში გადაიყვანა, სადაც იგი მშობიარობას გადაჰყვა. სიკვდილის წინ საბრალომ მიმეს პირობა დაადებინა, რომ ბავშვს ზიგფრიდს დაარქმევდა და გაზრდიდა. ამ მონაცოლით გაოგნებული ზიგფრიდი ტყეში გარბის. ამასობაში გამოქვაბულში უცნობი ყარიბი* შემოდის და მიმეს საჭმელს სთხოვს. მიმე ყარიბს გაგდებას დაუპირებს. გაბრაზებული ყარიბი მიმეს უწინასწარმეტყველებს, რომ მას სიკვდილს ის მოუტანს, ვინც ჯადოსნურ ხმალს – ნოტუნგს – გამოჭედავს, ამ ხმლით დრაკონ ფაფნერს მოკლავს და ჯადოსნურ ბეჭედს ხელში ჩაიგდებს. მიმეს კითხვაზე, თუ ვინ იქნება ეს, ყარიბი პასუხობს: ----. ყარიბი ტყეში მიიმალება. მიმე ხვდება, ვის გულისხმობდა ყარიბი. ამასობაში ზიგფრიდი გამოქვაბულში ბრუნდება. მიმე მისი ძალის თავის სასარგებლოდ გამოყენებას გადანწყვეტს და ზიგფრიდს ეუბნება, რომ ნამდვილ გმირად მას შიშის შეგრძნება აქცევს. ამისთვის დრაკონს უნდა შეებრძოლოს და ჯადოსნური ბეჭედი ხელში ჩაიგდოს; ამაში კი მას ხმალი ნოტუნგი დაეხმარება, რომლის აღდგენა მიმეს არ ძალუძს. ზიგფრიდი ხმლის გამოჭედვას ითავებს: ----. ის აღადგენს ჯადოსნურ ხმალს – ნოტუნგს. ----, - ამბობს ის და ხმლის ერთი მოქნევით გრდემლს ამსხვრევს. ზიგფრიდი და მიმე დრაკონი ფაფნერის გამოქვაბულს უახლოვდებიან. მიმე ზიგფრიდს მარტო ტოვებს. ზიგფრიდი რქაზე დაკვრას იწყებს, რითაც დრაკონს აღვიძებს. ის გამოქვაბულიდან გამოდის ----. ზიგფრიდი უშიშრად მიიწევს დრაკონისკენ. ბრძოლის დროს ზიგფრიდი დრაკონს ხმალს გულში უყრის.

* ყარიბი – უთვისტომო, ღარიბი, სანყალი; სინონიმები: მწირი, მოხეტიალე.

სიკვდილის წინ ფაფნერი საიდუმლოს უმხელს. ის, ვინც ზიგფრიდს მისი მოკვლა შთააგონა, მას სიკვდილს უმზადებს. ----. – ამ სიტყვებით დრაკონი კვდება. დრაკონის სისხლი ზიგფრიდს ხელზე გადაესხმება. ზიგფრიდი უნებლიეთ სისხლს ენით ალოკავს და ხვდება, რომ ცხოველების ენა ესმის. ზიგფრიდი ფაფნერის გამოქვაბულიდან ბეჭედს იღებს და თითზე იკეთებს. ისმის პატარა ჩიტის ჭიკჭიკი. ჩიტი ზიგფრიდს უყვება, რომ მიმე მას მონამვლას უპირებს. ზიგფრიდი მიმეს კლავს. ჩიტი მას ეუბნება, რომ ნამდვილ გმირად მას სიყვარული აქცევს, ამისათვის კი ჯადოსნურ ძილში მყოფი ბრუნჰილდა უნდა გააღვიძოს. ზიგფრიდი ჩიტს მიჰყვება და ცეცხლოვან გალავანს აწყდება, უშიშრად გადაკვეთს მას და მშვენიერ მძინარე ქალწულს იხილავს. აღფრთოვანებული ზიგფრიდი ქალწულს კოცნის და აღვიძებს. ბრუნჰილდა მოხიბლულია ზიგფრიდის სილამაზით ----. ახალგაზრდებს უყვარდებათ ერთმანეთი. ბრუნჰილდა სიყვარულისთვის თავის ღვთაებრივ ძალას უარყოფს: ----. ამიერიდან იგი აღარ არის ქალღმერთი ვალკირია“.

წაიკითხეთ თქვენ მიერ შევსებული ტექსტი კლასში და შეადარეთ მეგობრებისას.

2 ხმლის – ნოტუნგის – გამოჭედვის სცენა ოპერის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ეპიზოდია. ვაგნერმა ამ სცენაში მთელი სიზუსტით წარმოაჩინა ხმლის გამოჭედვის ყველა ეტაპი. სცენა ორ დიდ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი გვიჩვენებს, თუ როგორ ადნობს ზიგფრიდი ფოლადს, გავარვარებულ თხევად რკინას ყალიბში ასხამს და შემდეგ წყალში აცივებს, რათა რკინამ მყარი ფორმა მიიღოს. მეორე ნაწილი უშუალოდ ხმლის გამოჭედვას ასახავს. ამ დროს მჭედელი ყალიბში გამყარებულ რკინას აბრტყელებს, რათა ხმალი უფრო დრეკადი და ბასრი გახდეს. ამისთვის რკინას კვლავ აცხელებენ და, გავარვარებულს, უროს მეშვეობით საჭირო ფორმას აძლევენ. უროს ზუსტ დარტყმაზეა დამოკიდებული, რამდენად გამძლე და ბასრი ხმალი გამოვა. ზიგფრიდს ღმერთებისგან ძალა ეძლევა და ამიტომ ის უნაკლო ხმალს გამოჭედავს. თუ როგორ იჩენს თავს ღვთაებრივი ძალა ხმლის ჭედვის დროს, ამას მუსიკით შეიტყობთ. ვიდრე ამ სცენის მუსიკაზე ვისაუბრებდეთ, უპასუხეთ რამდენიმე კითხვას:

➤ ფოტოებზე ხედავთ ხელსაწყოებს – საბერველსა და გრდემლს. როგორ ფიქრობთ, რისთვის გამოიყენება ეს ხელსაწყოები? შეძლებისდაგვარად აღწერეთ მათი მუშაობის პრინციპი.



საბერველი



გრდემლი



მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და ამოიცანით, მათგან რომელშია ასახული საბერველის მუშაობის მექანიზმი; დაასახელეთ, რომელ ნომრად მოისმინეთ ეს ფრაგმენტი.

3 ამ სცენაში ზიგფრიდი მუშაობის დროს მღერის სიმღერას, რომელსაც ოთხი კუპლეტი აქვს. მიუხედავად მათი მსგავსებისა, თითოეული გამოირჩევა თავისებურებებით. თუკი ამ პატარა განსხვავებებს შეამჩნევთ, არ გაგიჭირდებათ იმის ამოცნობა, რომელი მათგანია პირველი, მეორე, მესამე თუ მეოთხე კუპლეტი. შეავსეთ ცხრილი ინსტრუქციის მიხედვით.

ინსტრუქცია:

ვიდრე ცხრილს შეავსებდეთ, კარგად მოისმინეთ თითოეული კუპლეტი და მიაქციეთ ყურადღება შემდეგ დეტალებს:

- კუპლეტებს, ცხადია, მოუსმენთ არეული თანმიმდევრობით. დააკვირდით, რომელ ფრაგმენტში აშკარად იგრძნობა სიმღერის დასრულება;
- პირველი და მეოთხე მოკლე კუპლეტებია, ამასთან, მეოთხე პირველზე მოკლეა, შეძახილების გარეშე. ამოიცანით ის;
- ცხრილი გადაიტანეთ ფურცელზე და სათანადო უჯრაში ჩაწერეთ, რომელ ნომრად მოისმინეთ თითოეული ფრაგმენტი (კუპლეტი):

I კუპლეტი	II კუპლეტი	III კუპლეტი	IV კუპლეტი



➤ რა წარმოიდგინეთ ზიგფრიდის სიმღერის მოსმენისას? როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ხმლის ჭედვის პროცესში ზიგფრიდი ცეცხლს აღვივებს?

თუ ასეა, რის მიხედვით ამოიცანით? რა უღერადობით აღწევს კომპოზიტორი ამას? ჩამოთვალეთ მახასიათებლები;

➤ როგორ ახასიათებს ზიგფრიდს შეძახილები – „ჰეი-ჰო-ჰა-ჰა“?

➤ ფრაგმენტების მოსმენისას, ხომ არ შეგექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ ზიგფრიდის თითოეულ ქმედებას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება? თუ კი, აღნიშნეთ, როგორ მიიღწევა ეს მუსიკით;

➤ რა სტატუსს მიანიჭებდით ამ სიმღერას – აიკონს, ინდექსს თუ სიმბოლოს?

4 რას აკეთებს ამ დროს ქონდრისკაცი მიმე? მისი პარტია ამ სცენაში უფრო მრავალფეროვანია. ზიგფრიდის სიძლიერით დაშინებული მიმე, ხან ელაქუცება მას, ხან ვერაგულ გეგმებს ადგენს, როგორ გამოიყენოს ზიგფრიდის სიმამაცე და ძალა თავის სასარგებლოდ, შემდეგ კი, როდესაც ზიგფრიდი დრაკონზე გაიმარჯვებს, როგორ მოიშოროს იგი და როგორ ჩაიგდოს ხელში ძალაუფლების ბეჭედი.

ამოიცანით ეს მომენტები მოსმენილ ფრაგმენტებში, ცხრილი გადაიტანეთ რვეულში/ფურცელზე და შეავსეთ.

ინსტრუქცია:

- ცხრილი გადაიტანეთ რვეულში/ფურცელზე და ჩასვით ფრაგმენტის ნომერი სათანადო განმარტების უჯრის ცარიელ კვადრატში;
- დააკვირდით ყველა დეტალს (მუსიკალურ მახასიათებელს, გარკვეული შინაარსის ლაიტმოტივს), რომლებიც სწორი პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

☐ მიმეს სცენა	მიმე გეგმას აწყობს, როგორ ჩაიგდოს ხელში ბეჭედი მას შემდეგ, რაც ზიგფრიდი დრაკონს მოკლავს.
☐ მიმეს სცენა	მიმეს თავში მოუვიდა ვერაგული აზრი, მოუმზადოს ზიგფრიდს სასმელი, რომელიც მას დააძინებს. აი, მაშინ მიმე მოკლავს ზიგფრიდს მისივე გამოჭედილი ხმლით.
☐ მიმეს სცენა	მიმე ცდილობს ზიგფრიდის გულის მოგებას. მის ხმაში ისმის ცრუ ალერსის ინტონაციები. ის ზიგფრიდს გემრიელ წვნიანს უმზადებს.



შეამოწმეთ თქვენი თავი და უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ ფრაგმენტში ისმის ბეჭდისა და ნიბელჰაიმის ლაიტმოტივების ინტონაციები? რაზე მიუთითებს ეს ლაიტმოტივები?
- რომელ ფრაგმენტში ისმის ორკესტრში დაღმავალი ქრომატული სვლები? რა განწყობას გიქმნით ეს ქრომატული სვლები?
- რომელ ფრაგმენტში ისმის მიმეს პარტიაში დაღმავალი ქრომატული სვლა? თქვენი აზრით, რას გადმოსცემს ეს ქრომატული სვლა ამ ფრაგმენტში:
 - ა) მიმეს შიშს;
 - ბ) მიმეს სივერაგეს;
 - გ) მიმეს სიფრთხილეს;
 - დ) მიმეს წყენას ზიგფრიდზე;
 - ე) სხვა.

- ქვემოთ მოცემულია მიმეს რამდენიმე ფრაზა. თქვენი აზრით, მიმეს რომელი ფრაზა ისმის მოსმენილ ფრაგმენტში?

უპასუხეთ ზეპირად ან გადაიტანეთ სქემა რვეულში და ცარიელი კვადრატი აღნიშნეთ ✓ ნიშნით:

☐	განძს და ბეჭედს ნახავს დრაკონის ბუდეში. როგორ დავეუფლო, როგორ წავართვა?
☐	თავისივე შექმნილი იარაღით გზიდან მოვიშორებ და ბეჭედს სხვა განძთან ერთად მოვიპოვებ.
☐	შერცხვენილი ვარ, როგორც მჭედელი. მოსწავლემ მასწავლებელს გაკვეთილი ჩაუტარა.

- რომელ ფრაგმენტში ისმის „ხმლის“ ლაიტმოტივი? მიაქციეთ ყურადღება – არის თუ არა ნახსენები ხმალი რომელიმე კომენტარში?
- როგორ გადმოიცემა მიმეს ლაქუცი? სად უფრო იგრძნობა ეს ლაქუცი – მიმეს ვოკალურ პარტიაში თუ საორკესტროში? ახსენით თქვენი პასუხი.

გადიგანეთ სქემა რვეულში/ფურცელზე, გამოიცანით ამ სცენის ყველა ფრაგმენტი და დალაგეთ იმ თანმიმდევრობით, რომელი თანმიმდევრობითაც ეს სცენაში გაჟღერდა. ჩანერეთ ცარიელ უჯრებში ფრაგმენტების სათანადო ნომრები:



2

ქვემოთ მოთავსებული ილუსტრაციები ასახავს ოპერა „ზიგფრიდის“ რამდენიმე სიუჟეტურ დეტალს (ილუსტრაციები დალაგებულია არეულად).

შეამოწმეთ თქვენი თავი, რამდენად კარგად ჩასწვდით „ზიგფრიდში“ გადმოცემულ ისტორიას. დაასათაურეთ თითოეული ილუსტრაცია, დანომრეთ ისინი სიუჟეტის მიხედვით და თხრობით ან წერილობით გადმოცემით ოპერის მოკლე შინაარსი.





კომპლექსური დავალება

მოისმინეთ ხმლის ჭედვის სცენის მეორე ნაწილი, შეადგინეთ სქემა და სქემაში ჩასვით სათანადო ფრაზები.

ინსტრუქცია

სქემაში ასახეთ:

- რამდენ ფრაგმენტად დაანაწილეთ ეს სცენა;

ნიმუშად გამოიყენეთ მე-17 გაკვეთილზე მოცემული სქემა.

- ფრაგმენტები აღნიშნეთ ოთხკუთხედებად და დაასათაურეთ („ზიგფრიდის სიმღერა“, „მიმეს სცენა“ „ზიგფრიდისა და მიმეს დიალოგი“);
- დაახარისხეთ ეს ფრაგმენტები მოქმედ პირთა მიხედვით;
- იმის წარმოსაჩენად, თუ რომელი ფრაგმენტი რომელს მოჰყვება, ოთხკუთხედები შეაერთეთ ხაზებით;
- ფრაგმენტი, რომელშიც მოქმედ პირთა შორის დიალოგია, აღნიშნეთ უფრო დიდი ოთხკუთხედით;
- რომელ პერსონაჟს ეკუთვნის ქვემოთ მოცემული ტექსტები (ჩასვით თქვენ მიერ გამოკვეთილი ფრაგმენტების ოთხკუთხედებში სათანადო ტექსტების ლიტერი. დააკვირდით, არის თუ არა ამ ტექსტებში მითითება იმ ნიშნებზე, რომლებიც მუსიკაში გადმოცემულია ლაიტმოტივების სახით? ეს თქვენ ტექსტის ლიტერის სათანადო ოთხკუთხედში ჩასმაში დაგეხმარებათ).

პრეზენტაციის დროს ხაზი გაუსვით:

- გააცანით კლასს თქვენი სქემა (ახსენით, რამდენ ფრაგმენტად დაანაწილეთ სცენა, როგორ დაასათაურეთ თითოეული ფრაგმენტი და ა. შ.);
- რომელ ფრაგმენტს რომელი ტექსტი მიუსადაგეთ;
- რის მიხედვით მიუსადაგეთ ეს ტექსტები ფრაგმენტებს;
- ამ სცენაში გამოყენებულ მუსიკალურ ხერხებზე დაყრდნობით იმსჯელეთ, რა სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს კომპოზიტორი ხმლის ჭედვის სცენას. არგუმენტებად ასევე მოიყვანეთ მაგალითები იმ აქტივობებიდან, რომლებიც უკვე გავლილი გაქვთ.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი გაჩვენებთ ხმლის ჭედვის სცენის ვიდეოკადრებს და შესაძლებლობა გექნებათ, შეამოწმოთ თქვენი ნაშრომი. მოინიშნეთ, შეცვლიდით თუ არა რაიმეს სქემაში და, კერძოდ, რას.

მითოლოგია XX-XXI საუკუნეების მუსიკაში

1

XX-XXI სს.-ის მუსიკაში მითმა ახალი ჟღერადობა შეიძინა. თუ ადრე ეთნო-გრაფები მითებს აღიქვამდნენ, როგორც ზღაპრებს, XX საუკუნემ მოიტანა მითის აღქმა, როგორც რეალური იდეებისა გარესამყაროზე, მის აგებულებაზე. ამიტომაც შემოვიდა სიმბოლიზმი თანამედროვე კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

XX-XXI საუკუნეების მუსიკამ აბსოლუტურად ახალი ჰორიზონტები გახსნა მანამდე არსებულისგან სრულიად განსხვავებული და მრავალფეროვანი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენების თვალსაზრისით. შეიცვალა მუსიკალური აზროვნება, შეიცვალა წარმოდგენები იმაზე, თუ რას უნდა ვუწოდოთ მუსიკა. ბუნებრივია, რომ გაჩნდა მუსიკალური ენის ახალი ნიშნები, რომელთა ამოკითხვის სწავლა მსმენელს ახლიდან მოუწია. ხშირ შემთხვევაში, კომპოზიტორის მითითებების გარეშე ამ ნიშნების შინაარსის ამოკითხვა შეუძლებელიც კია. მართლაც, თანამედროვე კომპოზიტორების უმრავლესობას დაწერილი აქვს უამრავი წიგნი თუ სტატია, რომლებშიც ისინი განმარტავენ საკუთარ ხედვას, შესრულების სტილს, მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებს. მითის ენა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ამ პერიოდის მუსიკისთვის.

მიუხედავად მუსიკალური სტილების სიმრავლისა, მაინც შევეცადოთ გავერკვეთ თანამედროვე მუსიკის მთავარ მახასიათებლებში. სიღრმისეულ განხილვას ძალიან ბევრი ფილოსოფიური ნაშრომის გაცნობა და, შესაბამისად, დიდი დრო დასჭირდება, ეს კი უფრო მომავლის საქმეა.

მაშ ასე, ვიდრე თანამედროვე მუსიკაში მითის როლზე ვისაუბრებდეთ, მოისმინეთ ფრაგმენტები ბოლო დროის გამოჩენილი კომპოზიტორების იმ ნაწარმოებებიდან, რომლებშიც მუსიკის მახასიათებლები ყველაზე მკაფიოდაა გამოხატული.

ქვემოთ მოცემულ ჩარჩოებში მოცემულია თანამედროვე მუსიკის საბაზო მახასიათებლები. ყურადღებით გაეცანით თითოეულ მათგანს:

- | | | |
|----|--|---|
| ა) | ახალი ჟღერადობების შექმნა; უკვე კარგად ცნობილი ინსტრუმენტების ტემბრალური შესაძლებლობების გაფართოება, რაც ხმის გამოცემის ახალი ხერხებით მიიღწევა; | |
| ბ) | ბგერის სპექტრის (მისი წარმოშობის, სიხშირეების, რხევის, ტემბრის, მისი ჟღერადობის დაწყებისა და დასრულების და ა.შ.) სხვადასხვა მუსიკალური ხერხით გადმოცემა; | 3 |
| გ) | ჟღერადობის სივრცის გაფართოება აუდიოჩანაწერისა და ცოცხალი შესრულების ერთდროულად გაჟღერების გზით; | |
| დ) | დროისა და სივრცის შეკუმშვა-გაფართოება სხვადასხვა რიტმონიტონაციური პატერნების* (დაჯგუფებების) მონაცვლეობის გზით. | |



მოუსმინეთ რამდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს. მოიმარჯვეთ ფურცელი და კალამი და თითოეული მახასიათებლის გასწვრივ, ცარიელ კვადრატში ჩაწერეთ, რომელ ნომრად მოისმინეთ ის მუსიკალური ფრაგმენტი, რომელშიც, თქვენი აზრით, ეს მახასიათებელი ყველაზე მკაფიოდაა გამოხატული (ზემოთ იხილეთ ერთი ნიმუში, ციფრი კვადრატში პირობითია).



- რომელი მახასიათებლის აღწერა გახდა თქვენთვის გასაგები მხოლოდ ფრაგმენტის მოსმენის შემდეგ?
- რომელი მახასიათებლის აღწერა გაიგეთ ნაკითხვისას, მაგრამ ვერ ამოიცანით მუსიკალურ ფრაგმენტში?
- რომელი ფრაგმენტის აღქმა გაგიადვილათ მახასიათებლის აღწერამ?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი იყო თქვენთვის ყველაზე საინტერესო მოსასმენი და მისაღები, ყოველგვარი მახასიათებლის აღწერის გარეშე?
- დაასახელეთ, რა ჯგუფის ინსტრუმენტებია ამ ფრაგმენტებში წარმოდგენილი:

- | | |
|---|-------------|
| ა | დასარტყამი |
| ბ | სიმებიანი |
| გ | ჩასაბერი |
| დ | ელექტრონული |

* **პატერნი** (ინგლ. pattern) – ნიმუში, შაბლონი – სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის პარტიების წინასწარ დაპროგრამებული, თანმიმდევრული (განმეორებადი) ჟღერადობის ერთიანობა (დაჯგუფება). სემპლისგან განსხვავებით, პატერნი მუსიკალური ტრეკის უფრო რთული მონაკვეთია. ის შეიძლება მრავალი სემპლისგან შედგებოდეს და მისი ხანგრძლივობა შეზღუდული არაა.

2 ყველა ეს ნაწარმოები დაკავშირებულია რომელიმე მითოლოგიურ პერსონაჟთან. შეამოწმეთ თქვენი პირვანდელი წარმოდგენები, რომელ პერსონაჟს დაუკავშირებდით ამ ფრაგმენტებს?



იკაროსი



ორფეუსი



ჰერმესი



ანუბისი



➤ ახსენით, მუსიკის რომელი მახასიათებლის მიხედვით დაუკავშირეთ მუსიკალური ფრაგმენტები პერსონაჟებს. ამ მახასიათებლების მიხედვით, რომელ ფრაგმენტს მიანიჭებთ აიკონის, რომელს – ინდექსის და რომელს – სიმბოლოს სტატუსს? განმარტეთ.



მუსიკის რომელი მახასიათებლები იჩენს თავს ამ ფრაგმენტებში? იხელმძღვანელეთ წინა აქტივობაში თქვენი პასუხებით. ცხრილი რვეულში/ფურცელზე გადაიტანეთ და სათანადო მახასიათებლები აღნიშნეთ ✓ ნიშნით:

აუდიოს №	ბგერა	რიტმი	მელოდია	ჰარმონია	ფორმა	ჟანრი
1						
2						
3						
4						



➤ ფრაგმენტების განმეორებით მოსმენისას აღნიშნეთ, თქვენი აზრით, რომელი მახასიათებლები არ გამოკვეთილა საერთოდ ამ ფრაგმენტებში?
➤ მუსიკის რომელი მახასიათებელი ჩანს მკაფიოდ ყველა ფრაგმენტში?

დავუბრუნდეთ თანამედროვე მუსიკის მახასიათებლებს და გავარკვიოთ, რა როლს ასრულებს ეს მახასიათებლები მხატვრული სახის შექმნაში.



თეა მასგრევი
დაიბ. 1927 წ.

განვიხილოთ თითოეული ნაწარმოები, რომლის ფრაგმენტებიც წინა დავალებებში მოისმინეთ.

აუდიოფაილიდან გთავაზობთ ხუთ ნაწყვეტს ცნობილი შოტლანდიელი კომპოზიტორის, **თეა მასგრევის**, ნაწარმოებიდან „ორფეუსი“.

ტექსტში მოცემული ორფეუსის ისტორიის გამოტოვებულ ადგილებში ჩანერეთ (რვეულში/ფურცელზე) იმ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი, რომელშიც, თქვენი აზრით, გადმოცემულია ეს დეტალები:

ორფეუსი

ორფეუსი, სახელგანთქმული პოეტი და მუსიკოსი ----, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიით, მდინარის თრაკიელი ღმერთის, ეაგროსისა და მუზა კალიოპეს ვაჟი იყო. მისი სიმღერისა და ლირაზე დაკვრის მაგიური ძალა ---- თვით უზენაეს ღმერთებზე საოცარ გავლენას ახდენდა. ორფეუსისთვის კი ყველაზე ძვირფასი მისი მეუღლე ევრიდიკე იყო ----. ორფეუსს ისე ძლიერ უყვარდა ევრიდიკე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ თავის მეუღლეს ქვესკნელში გაჰყვდა ---- და თავისი დაკვრით ქვესკნელის ღმერთი ჰადესი მოხიბლა. ჰადესმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. მან ნება დართო ევრიდიკეს, ორფეუსს გაჰყოლოდა ცოცხალთა სამყაროში, მხოლოდ ერთი პირობით: ორფეუსს არ უნდა შეეხედა მეუღლისთვის, ვიდრე ისინი ქვესკნელიდან არ გამოვიდოდნენ.

ორფეუსმა ვერ გაუძლო ცდუნებას და მეუღლეს მაინც შეხედა, რის გამოც ევრიდიკეს კვლავ მკვდრების საუფლოში დაბრუნება მოუწია ----.



➤ თქვენი აზრით, ისმის თუ არა რომელიმე ფრაგმენტში ელექტროეფექტები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დაასახელეთ, რომელ ნომრად მოისმინეთ; თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს ამ ელექტროეფექტებს?

➤ რომელ ფრაგმენტში ჟღერს ერთგვარი დიალოგი ორ ინსტრუმენტს შორის?

➤ რომელ ფრაგმენტში ისმის ფლეიტით უჩვეულო ტექნიკით გაჟღერებული ბგერების დაღმავალი სვლა? თქვენი აზრით, რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს ამ დაღმავალ სვლას?

➤ თანამედროვე მუსიკის რომელ მახასიათებელს უკავშირდება ყველა ეს მხატვრული ხერხი?

დავალბოთ საბოლოო შედეგი გააცანით თანაკლასელებს და შეადარეთ ერთმანეთის ნაშრომები.



მოუსმინეთ ფრაგმენტებს გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორის, **სალვატორე შარინოს**, ნაწარმოებიდან „ჰერმესი“. ჰერმესისადმი მიძღვნილ ტექსტში მოცემული თითოეული მახასიათებლის შემდეგ მითითებულ ადგილას ჩასვით (რვეულში/ფურცელზე) იმ ფრაგმენტის ნომერი, რომელშიც, თქვენი აზრით, გადმოცემულია ეს მახასიათებელი.

ნაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და მიაქციეთ ყურადღება, რაზე კეთდება აქცენტი.



სალვატორე შარინო
(დაიბ. 1947 წ.)

ჰერმესი

ჰერმესი გაცვლითი ოპერაციების, ერთი მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში გადასვლის (ტრასფორმაციის) ღმერთი. აქედან გამომდინარე, იგი ვაჭრობის, სხვადასხვა სპეკულაციების მფარველიცაა ---, რადგან ყველა ეს საქმიანობა უკავშირდება გაცვლას, საგნის გადაცემას ერთი ხელიდან მეორეში. ის აგრეთვე მძლეოსნობის მფარველია ---, რადგან ორთაბრძოლის დროს ხდება ენერგიების გაცვლა. დაბოლოს, ჰერმესი ცოცხალთა --- და გარდაცვლილთა --- სამყაროებს შორის შუამავალი ღვთაებაცაა.



- თქვენი აზრით, რომელ ფრაგმენტში ისმის ე. წ. ცივი, უტემბრო ხმა? დაასახელეთ ნომერი;
- პერსონაჟის რომელ დახასიათებას დაუკავშირეთ ეს ფრაგმენტი და რატომ?
- რომელ ფრაგმენტში ისმის ინსტრუმენტის სწრაფი ტემბრალური ცვლილებები?
- ტექსტში მოცემულ რომელ მახასიათებელს მოგაგონებთ ეს ტემბრალური ცვლილებები?
- როგორ აღწერდით ხმის იმ ტემბრალურ შეფერილობას, რომელიც თქვენ ვაჭრობასა და სპეკულაციას დაუკავშირეთ?
- რა სტატუსის ნიშნებს დაუკავშირებდით თითოეულ ფრაგმენტს – აიკონს, ინდექსს, თუ სიმბოლოს?
- თანამედროვე მუსიკის რომელ მახასიათებელს უკავშირდება ყველა ეს მხატვრული ხერხი?

თქვენი პასუხები გააცანით თანაკლასელებს და შეადარეთ მათ მოსაზრებებს.



კომპლექსური დავალებები

1

პირობა:

დასმული კითხვების მიხედვით წერილობით შეასრულეთ დავალება ესეს სახით თემაზე: „მითოლოგიური აზროვნება XX-XXI საუკუნეების მუსიკაში“.

გაეცანით ინსტრუქციებს, რომლებიც დავალების შესრულებაში დაგეხმარებათ: მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები თემაში განხილული მასალიდან და მიუსადაგეთ თითოეული მათგანი ქვემოთ ჩამოთვლილ პერსონაჟებს:

- ა) ორფეუსს;
- ბ) ჰერმესს;
- გ) ანუბისს;
- დ) იკაროსს.

მიუთითეთ, რომელი მახასიათებლების მიხედვით დააკავშირეთ მუსიკა პერსონაჟთან.

პერსონაჟების მუსიკალური ხერხებით დახასიათება საკვანძო დეტალების მეშვეობით გადმოიცემა, ეს დეტალები სხვადასხვა ნიშნით გამოისახება. ქვემოთ მოცემულია ამ საკვანძო დეტალების ჩამონათვალი და ტექსტს მიუწერეთ, რა ტიპის ხმოვანი ნიშნით ასახავთ მას – აიკონით, ინდექსით თუ სიმბოლოთი.

- ა) ევრიდიკეს სიკვდილის შემდეგ ორფეუსი ქვესკნელში ჩავიდა ჰადესთან მეუღლის მიცვალებულთა სამყოფლიდან ამოყვანის სათხოვნელად;
- ბ) ჰერმესი ცოცხალთა და გარდაცვლილთა სამყაროებს შორის შუამავალი ღვთაებაა;
- გ) ანუბისი სამსჯავროს სასწორის მცველია;
- დ) იკაროსი ფრენის აზარტმა შეიპყრო და ძალიან მაღლა აფრინდა.

2



აარჩიეთ თქვენთვის სასურველი მითოლოგიური პერსონაჟი და LMMS პროგრამაში შექმენით კომპოზიცია მოსმენილი ფრაგმენტების მიხედვით.

მოისმინეთ მოტივები ამ ნაწარმოებიდან. მიუსადაგეთ თითოეული მათგანი ტექსტში მოხსენიებულ რომელიმე მხატვრულ სახეს.

- კომპოზიციის ასაგებად თავად გადანყვიტეთ, მუსიკის რა გამომსახველობით ხერხს გამოიყენებთ შერჩეული დეტალების ნიშნების გადმოსაცემად (რიტმული ფიგურაცია, ინტონაცია/მოტივი, ინტერვალი, დეკლამაცია, ხმა/ხმაური);
- შეგიძლიათ ეს დეტალები კომპოზიციაში ისეთი თანმიმდევრობით დაალაგოთ, როგორც თქვენ მოგესურვებათ.
- მოიფიქრეთ, რომელი დეტალით/ნიშნით შეკრავთ კომპოზიციას. ეს დეტალი ყველაზე ხშირად უნდა მეორდებოდეს კომპოზიციის სხვადასხვა ადგილას ან მუდმივად ჟღერდეს მთელი კომპოზიციის განმავლობაში.
- შეგიძლიათ თავადაც შეარჩიოთ მუსიკა, რომელსაც ინტონაციურად დააკავშირებთ რომელიმე მხატვრულ სახესთან და გამოიყენებთ ლაიტმოტივად.

თქვენი ნაშრომის პრეზენტაციისას ისაუბრეთ, რატომ აირჩიეთ დაწყებისას ან დამთავრებისას ესა თუ ის მოტივი, რომელი მოტივი გამოიყენეთ ფონად კომპოზიციის შესაკრავად და რატომ, როგორ იმუშავეთ კულმინაციის გაკეთებაზე.

პროგრესული როკი

1 როკმუსიკა ყოველი ახალი თაობის განწყობის მიხედვით იცვლება. ჩვენ როკმუსიკის ქვემიმდინარეობებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან თემა – „მითი მუსიკაში“ – ყველაზე საინტერესოდ სწორედ ამ მიმდინარეობების გაცნობით წარმოჩნდება. 1970-იან წლებში როკი განვითარდა უამრავ სუბჟანრად, როგორებიცაა სოფთროკი, მძიმე მეტალი, მძიმე როკი, პროგრესული როკი და პანკროკი. არცერთ მუსიკალურ მიმდინარეობას არა აქვს ისეთი მჭიდრო კავშირი მითოლოგიასთან, როგორიც პროგრესულ როკსა და პროგრესულ მეტალს. პროგრესული როკი (Progressive rock) როკმუსიკის სტილია, რომელსაც ახასიათებს მუსიკალური ფორმების გართულება და როკისთვის დამახასიათებელი სტილის გამდიდრება მუსიკალური ხელოვნების სხვა სფეროებთან: აკადემიურ მუსიკასთან, ჯაზთან, ხალხურ მუსიკასა და ავანგარდთან დიალოგის საშუალებით. პროგრესული როკი, ან როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ, პროგროკი – როკმუსიკის ქვეჟანრია, რომელიც წარმოიშვა 1960-იანი წლების ბოლოს, 1970-იან წლებში წარმატების პიკს მიაღწია და დღესაც კვლავ ვითარდება. უფრო მეტად იგი ასოცირებულია აკადემიურ მუსიკასა და არტროკთან. პროგრესული მეტალი, როგორც დამოუკიდებელი მიმდინარეობა, 80-იან წლებში ჩაისახა.



მაშ ასე, განვიხილოთ პროგროკისა და მითის მახასიათებლების ურთიერთკავშირები. როგორ ფიქრობთ, მითის რომელი მახასიათებელი აისახება პროგრესული როკის (შემდგომში პროგროკის) ამა თუ იმ მახასიათებელში?



წინა კლასებში ჩვენ გვეჩვენა საუბარი როკმუსიკაზე, მის ზოგად მახასიათებლებზე. გაიხსენეთ და დაახასიათეთ რამდენიმე ნაცნობი კომპოზიცია რიტმის, ჰარმონიის, ტემპის, ხასიათის მიხედვით; ისაუბრეთ, რა გრძნობებს აღძრავს ისინი თქვენში, რა მახასიათებლებით ჰგვანან ან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; დაასახელეთ როკჯგუფები; გაიხსენეთ, რა სიმღერები მოგისმენიათ ამ ჯგუფების შესრულებით და რითია თქვენთვის საინტერესო ეს კომპოზიციები.

➤ თქვენი აზრით, რომელ კომპოზიციას მიესადაგება ქვემოთ მოყვანილი ფრაზები:

- ა) ემოციური აფეთქება; მისი მოსმენისას ემოცია ტექსტის გარეშეც აღიძვრება;
- ბ) საკუთარი განცდების წინა პლანზე წამოწევა, გატაცებები, სიყვარული;
- გ) ორივე ზემოთქმულს;
- დ) არცერთს.

ყურადღებით წაიკითხეთ მითისა და პროგროკის მახასიათებლები. გადაიტანეთ ფურცელზე/რვეულში და ჩასვით პროგროკის მახასიათებლის ლიტერი მითის სათანადო მახასიათებლის მარჯვნივ მდებარე კვადრატში (შეგიძლიათ, მითის მახასიათებელს პროგროკის რამდენიმე მახასიათებელიც მიუსადაგოთ).

მითის მახასიათებლები:

I. გარკვეული ნიშნებით აზრის გადმოცემა;	ყველა
II. ახალი, საკრალური (ღვთაებრივი) რეალობის შექმნა;	☐
III. სინკრეტულობა (გამომსახველობითი ხერხების ერთიანობა, მაგალითად, ტექსტისა და რიტუალის გამომსახველობითი ხერხების ერთიანობა);	☐
IV. ირეალურობისა და რეალობის განუყრელობა;	☐
V. დიალექტიკურობა (მითში ყველაფერი მოძრაობს, რაღაც რაღაცისგან იბადება, გამომდინარეობს, ვითარდება, იცვლება და რაღაცით სრულდება);	☐
VI. უნივერსალურობა (თითოეულ სიუჟეტში გადმოცემულია ადამიანის მთელი ცხოვრება და მასში ასახულია სამყაროსა თუ საზოგადოებაში არსებული ყველა დიადი პროცესი).	☐

პროგროკის მახასიათებლები:

ა)	რიფი*
ბ)	ახალი ჟღერადობის მიღწევა სხვადასხვა ინსტრუმენტის უჩვეულო შეხამების ან ინსტრუმენტების ხმებისა და ვოკალზე გარკვეული ეფექტების დადების გზით; სხვადასხვა ხმის, ხმაურის, აკადემიური მუსიკის ციტატის გამოყენება
გ)	რთული, ცვალებადი რიტმი
დ)	მოულოდნელი, უჩვეულო ჰარმონიები
ე)	რთული მელოდია
ვ)	მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა.



- მითის რომელ მახასიათებელს დაუკავშირეთ პროგროკის მხოლოდ ერთი მახასიათებელი? ახსენით, რატომ;
- როგორ ახსენით, რატომ დაუკავშირეთ პროგროკის რამდენიმე მახასიათებელი მითის მახასიათებელს?
- თუ გაგიჭირდათ ამ დავალების შესრულება, ისაუბრეთ, კერძოდ, რა სიძნელეს წააწყდით.

***რიფი** – რიტმული ფიგურაცია, მელოდიური სვლა (მუსიკალური ფრაზა), ან ჰარმონიული (აკორდული) თანმიმდევრობა, ან ამ სამივე კომპონენტის ერთობლიობა, რომელიც მრავალჯერ მეორდება (ოსტინატო). თანამედროვე მუსიკის ჟანრებში რიფს ხშირად იყენებენ როგორც სიმღერის შესავალს, მაგალითად, გიტარის (ან სხვა საკრავ(ებ)ის სოლო).

2

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომლის სტრიქონებში ჩამოწერილია რომაული რიცხვებით აღნიშნული მითის მახასიათებლები, ხოლო სვეტებში – პროგროკის მახასიათებლების აღმნიშვნელი ლიტერები.



მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, დაუკავშირეთ ერთმანეთს მითისა და პროგროკის მახასიათებლები. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში/ფურცელზე და შესაბამის უფრაში ჩაწერეთ მოსმენილი ფრაგმენტის ნომერი.
იხილეთ პირობითი ნიმუში:

	ა)	ბ)	გ)	დ)	ე)	ვ)
I	1	1	1	1	1	1
II				2		
III						
IV						
V						
VI						



- მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენის შემდეგ შეცვალეთ თუ არა რაიმე პირველ სავარჯიშოში მიღებულ პასუხებში?
- თქვენი აზრით, მითის რომელ მახასიათებელს შეიძლება დაუკავშიროთ პროგროკის ყველა მახასიათებელი?
- როგორ ფიქრობთ, ეს მუსიკალური ფრაგმენტები რამდენად კარგად ესადაგება მითის მახასიათებლებს?
- მითის რომელი მახასიათებლისთვისაა ყველაზე ძნელი პროგროკის რომელიმე მახასიათებლის მისადაგება? შეეცადეთ ახსნათ, რატომ?
- ტაშით აჰყევით პირველ ფრაგმენტში გაჟღერებულ დასარტყამ ინსტრუმენტებს. გაგიჭირდათ თუ არა ტაშით აყოლა? ახსენით, რატომ?
- როგორ ფიქრობთ, ყველაზე მკაფიოდ მუსიკის რომელი მახასიათებელი იჩენს თავს მეორე ფრაგმენტში?
- თქვენი აზრით, რომელი მუსიკალური ფრაგმენტი ჟღერს ყველაზე უცნაურად, უჩვეულოდ? რა აღმოაჩინეთ უჩვეულო ამ აუდიოფრაგმენტში? რომელი მუსიკალური მახასიათებელი სძენს ამ ფრაგმენტს უჩვეულო ჟღერადობას?

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ყველა ფრაგმენტს და დაალაგეთ ისინი ემოციური დაძაბულობის მატების მიხედვით. გადაიტანეთ ცხრილი ფურცელზე/რვეულში და ცარიელ უფრაში მიუწერეთ 1-იანი ფრაგმენტს, რომელიც, თქვენი აზრით, ემოციურად ყველაზე ნაკლებადაა დამუხტული, ხოლო 6-იანი – ფრაგმენტს, რომელიც, თქვენი აზრით, მეტად ემოციურია.

აუდიო 1	აუდიო 2	აუდიო 3	აუდიო 4	აუდიო 5	აუდიო 6

ახსენით, რატომ შეავსეთ ცხრილი ამგვარად.

მითის რომელ მახასიათებელს დაუკავშირეთ ფრაგმენტები, რომლებსაც 1-იანი და 6-იანი მიუწერეთ?

1 გავეცანით პროგროკის ზოგად მახასიათებლებს, თუმცა მისი მთავარი მახასიათებლებია კომპოზიციების ხანგრძლივობა, რომელიც ხშირად 20 წუთსაც კი აღემატება, ეს ფაქტი, თავისთავად, მუსიკალური ენის გართულებასა და, რაც მთავარია, მუსიკისთვის რთული, მრავალმნიშვნელოვანი შინაარსის მინიჭებას ითხოვს. სწორედ ამიტომ პროგროკის მიმართულების ბევრი ანსამბლი თავის კომპოზიციებში მითოლოგიურ სიუჟეტებს იყენებს. აქედან გამომდინარე, ამ ანსამბლების ალბომებში ყველა კომპოზიცია ერთიანი სიუჟეტით არის გაერთიანებული. ასეთ ალბომებს **კონცეპტუალურ** ალბომებს უწოდებენ.

თქვენ წინაშეა ორი კონცეპტუალური ალბომის ყდა. ორივე ალბომი გარკვეულ მითებს ეფუძნება. საინტერესოა ისიც, რომ ეს ალბომები მითების ახლებური წაკითხვის მცდელობაა. დააკვირდით ამ ყდებს და იმსჯელეთ, რას უნდა უკავშირდებოდეს მითების შინაარსი, რომლების მიხედვითაცაა შექმნილი ეს ალბომები.



- ეს ალბომები ეფუძნება ცნობილ მითოლოგიურ სახეებს – ატლანტიდას, ეგვიპტურ ჰოროსკოპსა და აღმოსავლურ სწავლებას მითოლოგიურ მდინარეზე. როგორ ფიქრობთ, რომელი ალბომი რომელ მითოლოგიურ სახეებს ეფუძნება? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე;
- ყდის რომელ ილუსტრაციაშია უფრო აშკარად გადმოცემული მითისთვის დამახასიათებელი ირეალური (რეალობის მიღმა) სამყარო?



მოუსმინეთ ფრაგმენტებს ამ ალბომებიდან. შეეცადეთ ამოიცნოთ, რომელი ფრაგმენტი რომელი ალბომიდანაა (ფურცელზე ჩანერეთ ფრაგმენტის ნომერი სათანადო უჯრაში) და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

„სიმფონი X“ (Symphony X)

☐

„იეს“ (Yes)

☐


2

ა) ჯგუფი „იეს“ პროგრესული როკის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, ხოლო ანსამბლი „სიმფონი X“ პროგროკის ქვემიმდინარეობას, პროგმეტალს მიეკუთვნება. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ წინა გაკვეთილზე მოსმენილ ექვს აუდიოფრაგმენტს და ახლა უკვე ჟღერადობის მიხედვით ამოიცანით რომელი ჯგუფის კომპოზიცია რომელ ნომრად მოისმინეთ. ფურცელზე/რვეულში გადაიტანეთ ცხრილი და ჩასვით ✓ ნიშანი სათანადო უჯრაში.

	1	2	3	4	5	6
Symphony X						
Yes						

ბ) ფურცელზე აღნიშნეთ თქვენი ვარაუდით სწორი დებულებები „+“ ნიშნით, ხოლო „–“ ნიშნით – არასწორი დებულებები:

ა)

მეტალჯგუფებში მთავარი აქცენტი კეთდება ელექტროგიტარების გაძლიერებულ (სხვადასხვა ელექტრო თუ ციფრული მონყობილობის მეშვეობით) ჟღერადობაზე;

ბ)

პროგროკში აქტიურად გამოიყენება ელექტროორგანი, რაც მეტალისთვის ნაკლებად დამახასიათებელია;

გ)

მეტალისთვის დამახასიათებელია რომანტიკული მშვიდი ბალადები;

დ)

პროგროკში ხშირად იყენებენ ციფრულ დრამებს (ელექტროდასარტყამებს);

ე)

მეტალში კომპოზიციები ხშირად სწრაფ ტემპში სრულდება, რის გამოც მუსიკოსს ურთულესი რიტმული ფიგურაციების ძალიან სწრაფად შესრულება უწევს. ეს მუსიკოსისგან დიდ ოსტატობას ითხოვს;

ვ)

პროგროკი განსაკუთრებულად აგრესიული, მძიმე ჟღერადობით გამოირჩევა;

ზ)

მეტალს ახასიათებს გადამეტებული მაღალფარდოვნება, ემოციურობის ფორსირება, ერთგვარი პათეტიკურობა, რაც ახასიათებს ფენტეზის ჟანრის ნაწარმოებებს. ამით აიხსნება პროგმეტალის ჯგუფების ინტერესი ფენტეზის ჟანრისადმი.



➤ როგორ დაახასიათებდით ჯგუფის – „იეს“ – კომპოზიციების ჟღერადობას?

როგორ, ფიქრობთ, რაზე მოგვითხრობს ეს მუსიკა – სულიერი ძიებისა თუ სამყაროს კატაკლიზმების შესახებ? ახსენით თქვენი პასუხი;

➤ რამდენად ახლობელია ეს მუსიკა თქვენთვის? ახსენით, რატომ;


➤ თქვენი აზრით, რამდენი არასწორი დებულებაა წარმოდგენილი ამ დავალებაში? იმსჯელეთ ამის შესახებ თანაკლასელებთან;

➤ როგორ ფიქრობთ, რატომ ჰქვია მიმართულებას „მეტალი“?

➤ თქვენთვის ნაცნობი სიუჟეტებიდან, რომელს მოუხდებოდა პროგმეტალის ჟღერადობა?

➤ ფრაგმენტების მოსმენისას შეამჩნიეთ თუ არა მუსიკის ისეთი მახასიათებლები, რომლებიც არ არის ნახსენები არცერთ აქტივობაში?

შეადარეთ პროგროკისა და პროგმეტალის ჩანაწერების გრაფიკული გამოსახულებები და ამოიცანით, რომელი გამოსახულება რომელი ანსამბლის ჩანაწერს ასახავს (აღნიშნეთ SX-ით პროგმეტალი, ხოლო Y-ით – პროგროკი).



- თქვენი აზრით, რომელ მიმართულებას შეიძლება დავუკავშიროთ გამოთქმა „ხმის კედელი“?

3 მდინარეს თითქმის ყველა ხალხის მითოლოგიაში დიდი დატვირთვა ენიჭება. ბერძნულ მითოლოგიაში მდინარე სტიქსი განასახიერებს ზღვარს ცოცხალთა და გარდაცვლილთა სამყაროებს შორის; ბუდისტურ ფილოსოფიაში კი მდინარე ცხოვრების ნაკადია. ჯგუფის „იეს“ კონცეპტუალური ალბომი „კიდესთან ახლოს“ („Close to the edge“) სწორედ ამ ორ ხედვაზეა აგებული. ალბომის მესამე შთაგონების წყარო კი არის გამოჩენილი გერმანელი მწერლის, ჰერმან ჰესეს რომანი „სიდჰარტა“, რომელიც ერთგვარ პოლემიკას წარმოადგენს ინდურ და ევროპულ კულტურებს შორის. ეს ალბომი მდინარის ყველა ამ სახის ერთგვარი კომპილაცია* (შესამება) და მისი ახლებური გააზრებაცაა.



* კომპილაცია – სხვადასხვა ავტორისაგან ნასესხები მასალებით შედგენილი ნაშრომი, რომელიც არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევებსა და დასკვნებს.



მოუსმინეთ რამდენიმე ფრაგმენტს და დაუკავშირეთ ისინი აქ მოცემული მდინარის, როგორც სიმბოლოს, განმარტებებს (რვეულში/ფურცელზე თითოეულ განმარტებას მიუწერეთ ფრაგმენტის ნომერი):

ა)

მდინარე, როგორც ცხოვრებაში არსებული სულის მტანჯველი შფოთის, ეჭვების, ამაო და სასტიკი ვნებების სიმბოლო;

☐

ბ)

მდინარე, როგორც ცხოვრების მეგზური და გამძლოლი;

☐

გ)

მდინარე, როგორც ფათერაკებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა სულიერი გაბრწყინებისკენ.

☐


- თქვენი აზრით, პროგროკის რომელი მახასიათებელი ან მახასიათებლები იჩენს ყველაზე მკაფიოდ თავს თითოეულ ფრაგმენტში?
- თქვენი აზრით, მითის რომელი მახასიათებელი ან მახასიათებლები იჩენს ყველაზე მკაფიოდ თავს თითოეულ განმარტებაში?
- როგორ ფიქრობთ, მითის რომელი მახასიათებლით ერთიანდება ყველა ეს განმარტება?
- როგორ ფიქრობთ, ჟღერადობისა და განწყობის მიხედვით, რა აერთიანებს ამ სამ ფრაგმენტს?
- მდინარის სიმბოლოს რომელი განმარტებაა თქვენთვის ყველაზე მისაღები? ასევე მისაღებია თუ არა მისი მუსიკალური ანალოგია თქვენთვის?
- როგორ ფიქრობთ, პირველი ფრაგმენტი რა ფორმის კომპოზიციაა? განმარტეთ, რა მახასიათებლებით ამოიცანით.

დააკვირდით სქემებს. რომელი სქემა ესადაგება ამ ფრაგმენტს?

ა)	RIF	A	A	B	C
ბ)	RIF	A	B	C	D
გ)	RIF	A	A	A	A



კომპლექსური დავალება

პირობა:

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტს „სიმფონი X“ ალბომიდან „ახალი მითოლოგია“. შეადგინეთ მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტის სქემა, აღწერეთ იგი ამ სქემის მიხედვით, წარმოადგინეთ ამ მუსიკალური ფრაგმენტის თქვენეული ინტერპრეტაცია; ახსენით, რის საფუძველზე ააგეთ ინტერპრეტაცია.

ინსტრუქცია:

- პრეზენტაციისთვის დიდ ფორმატზე დახაზეთ სქემა;
- აღნიშნეთ თითოეული რიფი სათანადო ლიტერით;
- მიაქციეთ ყურადღება, რომ არ აღნიშნოთ ერთი და იგივე ლიტერით განსხვავებული რიფები ან რიფის მუხლები;
- ფორმატზე აგრეთვე ჩამოწერეთ პრეზენტაციის გეგმა და წინასწარ გააცანით თანაკლასელებს, რაზე ისაუბრებთ;
- გარკვეული ნიშნით აღნიშნეთ ის რიფები, რომლის საფუძველზეც ააგეთ ამ ფრაგმენტების თქვენეული ინტერპრეტაცია.

თქვენი ნაშრომი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

იცავს სქემის აგების პრინციპებს;	
ხსნის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც აქვს აგებული სქემა;	
მართებულად მოჰყავს სქემის თითოეული კომპონენტის მუსიკალური მაგალითები;	
შემოთავაზებული აქვს მუსიკალური ფრაგმენტის საკუთარი ორიგინალური ინტერპრეტაცია;	
მოჰყავს არგუმენტები საკუთარი ინტერპრეტაციის დასაცავად;	
იცავს რეგლამენტს და მიჰყვება პრეზენტაციის გეგმას.	



მითოლოგიური აზროვნება კინომუსიკაში

1 მითოლოგიურმა თემატიკამ ხელოვნების ყველა დარგში ჰპოვა ასახვა. თანამედროვე კინოხელოვნებაში ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელი გახდა უძველესი მითების ახლებურად, ახალი ინტერპრეტაციით გაცოცხლება.

ხელოვნების ყოველ ახალ საფეხურზე გადასვლა ყოველთვის მოითხოვს გამომსახველობითი ხერხების განახლებას, სახეცვლილებას, რადგან სათქმელთან ერთად ფორმაც იცვლება. XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში მუსიკალური აზროვნება და, შესაბამისად, კინომუსიკის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა.


ა დააკვირდით ილუსტრაციებს. მათი სიუჟეტების უმრავლესობა აღებულია ძველ-ეგვიპტური და ბერძნული მითოლოგიებიდან, რომელთა შინაარსი თქვენთვის კარგადაა ცნობილი. გაიხსენეთ ისინი და განსაზღვრეთ თემატიკა.



„ეგვიპტის ღმერთები“



„მოსე: ღმერთები და მეფეები“



„ნოე“



„ჰერაკლე“



„ტიტანთა ბრძოლა“



„ავატარი“



მოისმინეთ რამდენიმე მუსიკალური ფრაგმენტი ამ ფილმებიდან. შეეცადეთ განსაზღვროთ, რომელი ფრაგმენტი რომელ ილუსტრაციას უკავშირდება. ისაუბრეთ თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტზე, რა წარმოდგინეთ, რის მიხედვით დაუკავშირეთ მუსიკა ილუსტრაციას?

ბ

დაუბრუნდით თანამედროვე მუსიკის საბაზო მახასიათებლების ცხრილს (გვ. 46). მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში თანამედროვე მუსიკის რომელი მახასიათებლები ამოიცანით? მიუსადაგეთ მოსმენილ ფრაგმენტს, რვეულში/ფურცელზე შეავსეთ ცხრილი და ახსენით თქვენი არჩევანი (იხილეთ ნიმუში):

ფრაგმენტი	მახასიათებლის ლიტერი
I	ა)
II	
III	
IV	

➤ როგორ ფიქრობთ, რა როლს ასრულებს ეს მახასიათებელი მხატვრული სახის შექმნაში?

➤ მასწავლებელი მოგასმენინებთ ორ განსხვავებულ მუსიკალურ ფრაგმენტს თითოეული ფილმის საუნდტრეკიდან. შეარჩიეთ, რომელი მათგანი უკეთესად გადმოსცემს მითიური სიუჟეტის არსს და ახსენით თქვენი მოსაზრება; რომელი პერსონაჟის სახე-ხატი ან მოქმედება ამოიცანით თითოეულ მათგანში? ახსენით, რის მიხედვით;

➤ როგორ დაახასიათებთ მუსიკის რიტმულ ფიგურაციებს, რომლებიც, თქვენი აზრით, მითოლოგიური პერსონაჟის გმირულ საქმეებზე მიგვანიშნებს? მიუთითეთ, რომელ ნომრად მოისმინეთ ეს ფრაგმენტი და რომელი ფილმიდანაა.

2

დააკვირდით ქვემოთ განთავსებულ კადრს რეჟისორ ალექს პროიასის ფილმიდან „ეგვიპტის ღმერთები“ (მუსიკა მარკო ბელტრამის), რომლის მთავარ პერსონაჟებად ძველეგვიპტური ღვთაებები გვევლინებიან. ფილმი მოგვითხრობს ეგვიპტის ღმერთების ურთიერთდაპირისპირების შესახებ და ამ დაპირისპირებაში ერთი განსაკუთრებული ადამიანის დიდ წვლილზე...

მოისმინეთ ორი მუსიკალური ნაწყვეტი ამ ფილმიდან. ივარაუდეთ, რომელი მათგანი შეიძლება მიესადაგოს ქვემოთ განთავსებულ კადრს.



ისაუბრეთ თქვენ მიერ არჩეული მუსიკალური ფრაგმენტის გამომსახველობით ხერხებზე: რა გრძნობა დაგეუფლათ მოსმენისას? როგორი ხერხით აქვს კომპოზიტორს ეს განწყობა გადმოცემული? აღწერეთ მუსიკის რიტმული ფიგურაციები, მელოდია, ჰარმონია, დინამიკა. თანამედროვე მუსიკის მახასიათებლების ცხრილიდან რომელს მიუსადაგებთ მოსმენილ ფრაგმენტს?

1 სათავგადასავლო-ფანტასტიკური ჟანრის კინოხელოვნება განსაკუთრებით აქტიურად იყენებს მითოლოგიურ სიმბოლოებს. გაჩნდა ლიტერატურა – სცენარები, რომლებშიც ძველი საბერძნეთის, ეგვიპტისა და სკანდინავიის მითოლოგიური პერსონაჟები თანამედროვეობასთანაც არიან კავშირში.

ერთ-ერთი ასეთი ფილმია „პერსი ჯექსონი და ოლიმპოს ღმერთები: მეხის გამტაცებელი“, რომელსაც დიდი ინტერესით უყურებს ყველა ასაკის ადამიანი. მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ქრისტოფ ბექს.



მოისმინეთ რამდენიმე მუსიკალური ფრაგმენტი ამ ფილმიდან და თითოეული ფრაგმენტის ნომერი, თქვენი შეხედულებისამებრ, მიუსადაგეთ ტექსტის სათანადო სიუჟეტურ დეტალს.

ბერძენთა უზენაეს ღმერთს – ზევსს – თავისი საკრალური იარაღი – მეხთა-მტყორცნელი კვერთხი – მოპარეს. ქურდობა ზღვის ღმერთის, პოსეიდონის ვაჟს, პერსის, ბრალდება. თუ ორი კვირის განმავლობაში ის მოპარულს არ დააბრუნებს, განრისხებული ზევსი სასტიკ ომს დაიწყებს ----. პერსიმ არაფერი იცის ამ ქურდობის შესახებ. უსაფრთხოებისთვის ის დედამ და მეგობარმა სპეციალურ ბანაკში წაიყვანეს ----, სადაც ღმერთებისა და მოკვდავი ადამიანების საერთო შვილებს – ნახევრად ღმერთებს – საბრძოლო ხელოვნებაში წვრთნიან. ბანაკისკენ მიმავალ გზაზე მათ თავს დაესხა მინოტავრი ---- და პერსის დედა მიწისქვეშეთში გაიტაცა. პერსი და მისი მეგობრები კვერთხის მოსაძებნად და დედის დასახსნელად ბანაკიდან გაიპარნენ და მიცვალებულთა მიწისქვეშა სამყაროში ჰადესთან ჩავიდნენ ----. კვერთხსაც მიაგნეს და პერსის დედაც დაიხსნეს ტყვეობიდან. მალე გაცხადდა, რომ ჯადოსნური კვერთხის გამტაცებელი ლუკია, ჰერმესის შვილი, რომელმაც პერსის ქურდობის მიზეზი ასე აუხსნა: „...ძველი ღმერთები მეტისმეტად დიდხანს ბატონობენ. დროა, ისინი ჩვენმა თაობამ ჩაანაცვლოს, მსოფლიოს ჩვენი შეხედულებისამებრ შევცვლით. ეს ახალი გმირების სამყარო იქნება“. პერსი და ლუკი ერთმანეთს შეებნენ ----. პერსიმ მეხთამტყორცნელი კვერთხი დაიბრუნა და ოლიმპოს მთაზე აიტანა ----. ზევსი კმაყოფილია, პერსიმ და მისმა მეგობრებმა სამყარო განადგურებისგან იხსნეს, დედამინაზე სიმშვიდემ დაისადგურა ----.

პერსი ჯექსონზე ფილმის სრული ვერსია ქართულად შეგიძლიათ ნახოთ ინტერნეტბმულზე:
<https://movie.ge/movie/MzI2NTc>



- მოსმენილ ფრაგმენტებს მიანიჭეთ რომელიმე ნიშანი – „აიკონი“, „ინდექსი“ ან „სიმბოლო“. ახსენით, რის მიხედვით მიუსადაგეთ მუსიკა ტექსტს.
- როგორ დაახასიათებდით მუსიკას, რომელიც მიწისქვეშეთს – მიცვალებულთა სამყაროს – მიუსადაგეთ?
- აღწერეთ მუსიკის მახასიათებლები, რომლებიც პერსისა და ლუკის შებრძოლებას მიუსადაგეთ (რიტმი, ტემპი, მელოდია, ჰარმონია, დინამიკა).
- რომელ სიუჟეტურ სვლას მიუსადაგეთ მუსიკალური ფრაგმენტი, რომელშიც მუსიკასთან ერთად ვოკალის პარტიაც ისმის?



ვინ იცის, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ფენტეზის ჟანრის კინო-პროდუქცია, ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი ფილმები: „ადამიანი-ობობა“, „თორი“, „ბეტმენი“, „შურისმაძიებლები“, „რკინის კაცი“, „ავატარი“ და მრავალი სხვა, რომლებიც კომიქსების ისტორიების მიხედვითაა შექმნილი – იქნებ ოდესმე, მომავალში, ისინიც ლეგენდებად და მითებად იქცეს.

გავიხსენოთ კიდევ ერთი ფილმი – „ბეტმენი: დასაწყისი“ (2005 წ.). მისი სიუჟეტი აღებულია კომპანია DC Comics-ის მიერ შექმნილი კომიქსებიდან, რომელთა საფუძველზეც წარმოიშვა ლეგენდა ადამიანი-ლამურას შესახებ. ფილმის რეჟისორია კრისტოფერ ნოლანი, კომპოზიტორები – ჰანს ციმერი და ჯეიმს ნიუტონ ჰოვარდი.



ბეტმენის ნამდვილი სახელია ბრიუს ვეინი. ამბავი მოგვითხრობს, როგორ დაკარგა დიდი ქონების მემკვიდრე ბრიუსმა მშობლები, როგორ მიატოვა სახლი და სამოგზაუროდ წავიდა. წლების განმავლობაში გადატანილი მრავალი წინააღმდეგობა და დანაკარგი მას ხასიათს უცვლის, აძლიერებს, ბრძენი მასწავლებელი კი ცხოვრების აზრის დაბრუნებაში ეხმარება. აქედან იწყება ბეტმენის – სუპერგმირის – თავგადასავალი.



მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები, წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ციტატები ფილმიდან „ბეტმენი: დასაწყისი“ და შემდეგ უპასუხეთ კითხვებს (ცარიელ კვადრატებში მიუთითეთ, რომელ ნომრად მოსმენილი ფრაგმენტი მიუსადაგეთ ამ კონკრეტულ სიუჟეტურ დეტალს).

I

იცოცხლე, ლამურები თავს რატომ დაგესხნენ? შენი ეშინიათ... ისევ საზიზღარი ლამურა... რატომ ლამურა? – იმიტომ, რომ ლამურების მეშინია. დროა, ჩემმა მტრებმაც გაიზიარონ ჩემი შიში.



II

გამუდმებით შენზე ვფიქრობდი. შენი ნილბის შესახებ გავიგე... რასაც ახლა ვხედავ, ესაა შენი ნილაბი, შენი ნამდვილი სახე კი ისაა, რომლისაც ბოროტმოქმედებს ეშინიათ. ადამიანი, რომელიც მიყვარდა და რომელიც გაუჩინარდა, აღარ დაბრუნებულა, მაგრამ იქნებ სადღაც, იქ, ჯერ კიდევ ცხოვრობს. იქნებ ერთხელაც გოტემს ბეტმენი აღარ დასჭირდეს და ისევ შევხვდეთ ერთმანეთს... მამაშენი შენით იამაყებდა... ჩემსავით.



III

მინდა ხალხს ვაჩვენო, რომ გოტემი დამნაშავეთა ქალაქი არაა. საკუთარი გულგრილობის დასაძლევად ხალხს მისაბაძი მაგალითი სჭირდება. ბრიუს ვეინის სახელით ამას ვერ გავაკეთებ – ჩემი ფიზიკურად განადგურება შესაძლებელია, მაგრამ, როგორც სიმბოლო, მე მოუდრეკელი ვარ, შემოიძლია უკვდავი ვიყო!



- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს მიუსადაგებთ პირველ სიუჟეტურ სვლას? ახსენით თქვენი არჩევანი; აღწერეთ, რა რიტმულ ფორმულაზეა აგებული ეს ფრაგმენტი. შეგიძლიათ ტაშით გამოხატოთ ეს რიტმი?
- რა განწყობა შემოაქვს ამ რიტმს? რითია ეს განწყობა მიღწეული?
- დაახასიათეთ მუსიკა, რომელიც მესამე სიუჟეტურ სვლას დაუკავშირეთ; რა ნიშანს მიუსადაგებთ მას – აიკონს, ინდექსს თუ სიმბოლოს? ახსენით, რატომ;
- გამოიყენეთ თანამედროვე მუსიკის მახასიათებლების ცხრილი და აღნიშნეთ, რომელ მათგანს მიუსადაგებთ თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს.

კომპლექსური დავალება

1



პირობა:

დანერეთ მოკლე ესე თემაზე: „რატომაა მითოლოგიური თემატიკა ჩვენს დროშიც ასეთი აქტუალური“?

ინსტრუქცია:

შეაჯამეთ თქვენი ცოდნა შესწავლილი თემის მიხედვით, მიჰყევით ინსტრუქციის მოცემულობას და თქვენი სიტყვებით მოკლედ ჩამოაყალიბეთ:

- რა არის მითოსი;
- რით განსხვავდება ის ზღაპრებისა და ლეგენდებისგან;
- მოიძიეთ ინფორმაცია და ჩართეთ თქვენს ნაშრომში სხვადასხვა ეროვნების ხალხთა და ქართული მითები;
- დაასახელეთ მითოლოგიურ თემაზე შექმნილი ფილმები, რომლებიც მოგწონთ;

• გამოთქვით თქვენი მოსაზრება, როგორ აისახება მითოლოგიური თემატიკა თანამედროვე ხელოვნებაში და, კერძოდ, მუსიკაში;

• შეარჩიეთ მითოლოგიურ თემაზე გადაღებული რომელიმე ფილმი და გამოთქვით თქვენი აზრი მის მუსიკალურ გაფორმებაზე – რა მუსიკალური ხერხებით აქვს კომპოზიტორს აღწერილი პერსონაჟები და სიუჟეტური დეტალები; გამოიყენეთ გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნა, განსაზღვრებები, მუსიკის მახასიათებლები, მუსიკალური ტერმინები.

დასკვნის სახით განაზოგადეთ აზრი, რატომაა მითოლოგიური თემატიკა ჩვენს დროში საინტერესო და აქტუალური; მოიყვანეთ არგუმენტები.

პრეზენტაციისას ისაუბრეთ, რა სირთულეები შეგხვდათ მუშაობისას, რატომ აირჩიეთ კონკრეტული ფილმი.

2



„თორი“ მითოლოგიურ თემაზე აგებული „სათავგადასავლო ფენტეზის“ ჟანრის ფილმია. სემპლებად ამოჭერით მუსიკალური თემები ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფილმის საუნდტრეკიდან, მიუსადაგეთ თქვენ მიერ შერჩეულ რამდენიმე სიუჟეტურ დეტალს და LMMS პროგრამის მეშვეობით შექმენით კომპოზიცია.



თავი II

პირადული და საზოგადოებრივი მუსიკაში

თემა: სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში



ჟანრის მახასიათებლები მუსიკაში სოციალური კატაკლიზმების გადმოცემის დროს

1 სამყაროში არაერთი კატასტროფა მომხდარა. ზოგიერთი მათგანი – ადგილობრივი, ლოკალური მნიშვნელობისაა, ისინი ადამიანთა პირად უბედურებას იწვევენ, მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევა ან უბედური შემთხვევები – ავიაკატასტროფა, სარკინიგზო და საგზაო ავარია; ზოგიერთი კატასტროფა უფრო მასშტაბურია, მაგალითად, მიწისძვრა, ცუნამი, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა და ა. შ. თუმცა არსებობს კატასტროფები, რომლებმაც შეიძლება მთელი სამყარო შეცვალონ, ასეთია გლობალური დათბობა, მსოფლიო პანდემია, ბირთვული ომი და სხვა. ასეთ გლობალურ კატასტროფას **კატაკლიზმს** უწოდებენ.

კატაკლიზმებს შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში მომხდარი კატასტროფული ხასიათის ცვლილებები, სახელმწიფო გადატრიალებები.

ამრიგად, ყველა კატასტროფას კატაკლიზმს ვერ ვუწოდებთ, თუმცა ხელოვნებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთეული უბედური შემთხვევა, პიროვნული ტრაგედია შეიძლება რომელიმე გლობალური კატაკლიზმის ერთგვარი სიმბოლო გახდეს.

გაეცანით კატაკლიზმის ერთეული შემთხვევის სახეობებს:

I თვითმფრინავის შეჯახება ცათამბჯენთან

II ადამიანის საზოგადოებიდან გარიყვა, ხალხის მტრად გამოცხადება

III ატომური აფეთქება

IV რევოლუცია



შეეცადეთ, ქვემოთ მოცემული გლობალური კატაკლიზმები დააკავშიროთ მის მომასწავებელ ერთეულ შემთხვევასთან (სქემა გადაიტანეთ რვეულში/ფურცელზე და ცარიელ უჯრებში ჩასვით სათანადო რიგითი ნომრები. იხილეთ ერთი ნიმუში):

ა ტოტალიტარიზმი

ბ კლიმატური ცვლილება

გ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ნგრევა

დ ტერორიზმი

☐
☐

IV

☐

კომპლექსური დავალება

პირობა:

რვეულში დაწერეთ ესე „სოციალური კატაკლიზმები სხვადასხვა დროის მუსიკაში“ შემდეგი მუსიკალური ნაწარმოებების მიხედვით:

დ. შოსტაკოვიჩი – კვარტეტის N8;

ჯგუფი „ოთხი სერჟანტი“ („The Four Sergeants“) და როზმარი ჯიუნი – „ჩვენ ეს ადრეც გავაკეთეთ და შეგვიძლია ისევ გავაკეთოთ“ („We Did It Before And We Can Do It Again“);

რიჰარდ შტრაუსი – „მეტამორფოზები“;

ამერიკული სიმღერა „შენანდოა“ („Shenandoah“).

ინსტრუქცია:

იმისათვის, რომ გაგიადვილდეთ ესეს დაწერა, შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

- მოისმინეთ ფრაგმენტი ბეთჰოვენის სიმფონიიდან N3 – „გმირული“ და დაადგინეთ, პირობაში ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან რომელში ჟღერს ამ თემის ინტონაციები. აღნიშნეთ ✓ ნიშნით სათანადო ნაწარმოების უჯრა.
- დააფიქსირეთ თქვენი აზრი, რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს მოსმენილ ფრაგმენტს ბეთჰოვენის სიმფონიიდან და შეადარეთ თქვენ მიერ მასთან მისადაგებულ ნაწარმოებში გაჟღერებულ ინტონაციას – რისი ინტონაცია ამოიცანით ამ ნაწარმოებში. ახსენით, რის მიხედვით ივარაუდეთ ასე.

1. დ. შოსტაკოვიჩი – კვარტეტი N8;

☐

2. ჯგუფი „ოთხი სერჟანტი“;

☐

3. რ. შტრაუსი – „მეტამორფოზები“;

☐

4. „შენანდოა“.

☐

- დაადგინეთ, რისი მიმანიშნებელია ეს;
- გაითვალისწინეთ წინა დავალებების პასუხები, ცხრილი რვეულში გადაიტანეთ და შეავსეთ ცარიელი უჯრები.

	კატასტრო- ფის დროს დაუფლებული განცდებისა და ემოციების გადმომცემი	კატასტრო- ფის შემდეგ დაუფლებული განცდებისა და ემოციების გადმომცემი	კატასტროფის აღმწერი	კატასტრო- ფის ალეგო- რიულად გადმომცემი	კატასტრო- ფით დაზა- რალე- ბულების გამამხნევე- ბელი
1					
2					
3					
4					

- ცხრილის მიხედვით მიუთითეთ, რა სტატუსი მიანიჭეთ თითოეულ ნაწარმოებს;
- აღნიშნეთ თითოეული ნაწარმოების მახასიათებლები და მათი როლი ცხრილში მოცემული შინაარსის გადმოცემაში;
- მიუთითეთ, ჟანრის რომელმა მახასიათებლებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი კონკრეტული შინაარსის გამოცემაში;
- ამ მაგალითებზე დაყრდნობით ახსენით, რა შემთხვევაში იყენებენ ამა თუ იმ ჟანრს გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად.

ნაშრომი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

აღწერა	
განწყობის მიხედვით აკავშირებს აუდიოჩანაწერს კონკრეტულ შინაარსთან.	
ამოიცნობს ცალკეულ მუსიკალურ მახასიათებლებს და მათ ფუნქციას.	
აკავშირებს ჟანრობრივი მახასიათებლების ფუნქციას.	
ახსნა	
ხსნის თავის არჩევანს (არგუმენტის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, იყენებს სათანადო ლექსიკას).	
შეფასება	
ადგენს ჟანრობრივი მახასიათებლების გამოყენების კანონზომიერებას.	
პრეზენტაციის დროს გასაგებად და თანმიმდევრულად გამოთქვამს მოსაზრებებს.	

თავი III

გმირი და ანტიგმირი მუსიკაში



ხელოვნების თითქმის ყველა ნიმუშის ცენტრშია ადამიანი თავისი გრძნობებითა და გამოცდილებით, წარმატებებითა და წარუმატებლობებით, დადებითი და უარყოფითი თვისებებით. ლიტერატორები თავიანთ ქმნილებებში პერსონაჟებს წარმოაჩენენ მათი გარეგნობის, საქციელისა თუ ხასიათის სიტყვიერი აღწერით; ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი – მთავარი გმირი – ხშირად ავტორის იდეალების, აზრებისა და გრძნობების გამომხატველია.

როგორია კომპოზიტორის გაგებით გმირი და ანტიგმირი და როგორი გამომსახველობითი ხერხებით აღწერს მათ თავის ნაწარმოებებში, ამას მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენისას შეიტყობთ.

გმირი:

1. რომანტიკული, მეოცნებე; ეჭვი არ ეპარება ცხოვრებისეულ ფასეულობებში, იბრძვის იდეალების დასაცავად, ისწრაფვის სრულყოფისაკენ;
2. პატრიოტი, შეუძლია თავგანწირვა სამშობლოსა და ადამიანის ღირსების დასაცავად; უანგაროდ ეხმარება ჩაგრულთ ცხოვრებისეული გამოწვევების გამკლავებაში;
3. არასოდეს წუნუნებს; წარუმატებლობაში საკუთარი თავის გარდა, არავის ადანაშაულებს, არ გაურბის რეალობას;
4. სასოწარკვეთილობის დროსაც კი ახერხებს კეთილგონიერების შენარჩუნებას; მედგრად მიიწევს დაბრკოლებების გადასალახავად საბოლოო გამარჯვებამდე.

**ანტიგმირი:**

5. მზაკვრული მეთოდებით ხელს უშლის გმირს კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში;
6. დაუნდობელია, ფარისეველი; ცდილობს, გამართლება უპოვოს საკუთარ მზაკვრულ ქმედებას;
7. სამყაროში არსებული ფასეულობები მისთვის ღირებულებას არ წარმოადგენს;
8. ცხოვრებისეულ გამოწვევებთან ვერგამკლავების გამო განიცადა ტრანსფორმაცია და ანტიგმირად იქცა.

მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენამდე გაეცანით მათ აღწერას.

ა

დაბალ რეგისტრში კონტრაბასის მოკლე მოტივს მოსდევს ჰობოის გულშიჩამწვდომი სოლო მელოდია სიმებიან საკრავთა სწრაფი, რიტმული თანხლების ფონზე, რომელიც კულმინაციას აღწევს, გონებით თითქოს სხვა სამყაროში გადავყავართ.

☐

ბ

ტუბის დრამატიზმით დამუხტული რამდენიმე ტაქტიანი მოტივი გრძელდება სწრაფ ტემპში, სიმებიან საკრავთა მზარდი დინამიკით – კულმინაციისკენ. ხის ჩასაბერი საკრავების – ფლეიტის, კლარნეტისა და ჰობოის – ერთი სიმაღლის გაბმული ბგერები სიგნალის, გაფრთხილების შეგრძნებას ტოვებს.

☐

გ

ჰობოის სოლო არფის თანხლებით ნელ ტემპში მშვიდ, პოზიტიურ ემოციას ქმნის. მუსიკა თითქოს პერსონაჟის მეოცნებე, რომანტიკულ თვისებებზე გვიყვება.

☐

დ

ჩასაბერი საკრავებისა და ფლეიტა პიკოლოს პარტიას ენაცვლება სიმებიანების დაღმავალი სვლები. ორი კონტრასტული სანყისის მონაცვლეობა დრამატული დაპირისპირებისა და მოახლოებული საშიშროების განცდას გვიტოვებს.

☐


მოუსმინეთ ოთხ მოკლე ფრაგმენტს და ამოიცანით, რომელ მათგანშია გადმოცემული გმირის და რომელში – ანტიგმირის დახასიათება. მუსიკალური აღწერის გასწვრივ მდებარე კვადრატებში ჩაწერეთ გმირის/ანტიგმირის მახასიათებლის ის ციფრი, რომელიც, თქვენი აზრით, მას მიესადაგება.

2

ქვემოთ მოცემული ცხრილი გადაიტანეთ ფურცელზე/რვეულში, განმეორებით მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები და თითოეული მათგანი მიუსადაგეთ გმირის/ანტიგმირისა და მუსიკალურ აღწერას. იხილეთ პირობითი ნიმუში:

აუდიო №	გმირის/ანტიგმირის მახასიათებელი	მუსიკალური აღწერა
1	5	ბ
2		
3		
4		



- გამოთქვით თქვენი მოსაზრება, გაგიჭირდათ თუ არა მუსიკალური აღწერებისა და გმირის/ანტიგმირის მახასიათებლების ერთმანეთთან დაკავშირდება; ახსენით, რომელი აღწერითი ტექსტის დაკავშირება გაგიჭირდათ და რატომ;
- რამდენად ადვილად ამოიცანით მუსიკალურ ფრაგმენტებში გმირის/ანტიგმირის მახასიათებლების აღწერები?
- მოსმენილი ფრაგმენტების მიხედვით, არის თუ არა ისეთი აღწერა, რომელიც საერთოდ ვერ ამოიცანით? დაასახელეთ ის.
- მასწავლებელი გაგაცნობთ მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების დასახელებებს; შეამოწმეთ თქვენ მიერ ცხრილებში დაფიქსირებული ჩანაწერები; მიღებული ინფორმაციის შემდეგ შეცვლიდით თუ არა რომელიმე პასუხს? ახსენით თქვენი მოსაზრება.



გადახედეთ ქვემოთ მოცემულ სანოტო ჩანაწერს. სანამ მუსიკალურ ფრაგმენტებს მოისმენდეთ, გამოთქვით თქვენი მოსაზრება, გმირის მახასიათებელს შეიძლება მივუსადაგოთ ის თუ – ანტიგმირისას? ახსენით, რის მიხედვით დაასკვნით ასე.




მოისმინეთ ორი აუდიოფრაგმენტი; ამოიცანით, რომელი მათგანი მიესადაგება მოცემულ სანოტო ჩანაწერს.



- გადახედეთ გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლების აღწერებს; ისაუბრეთ, რა წარმოიდგინეთ თითოეული ფრაგმენტის მოსმენისას; რის მიხედვით დაუკავშირეთ მუსიკა ამ აღწერებს?
- თქვენი სიტყვებით დაახასიათეთ ორივე ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლები; ახსენით, რომელი მუსიკალურ-გამომსახველობითი ელემენტების მიხედვით მიუსადაგეთ მუსიკა გმირის/ანტიგმირის მახასიათებლებს;
- მასწავლებელი გაგაცნობთ მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების დასახელებებს; შეამოწმეთ თქვენი თავი, რამდენად სწორად გაართვით თავი მოცემულ დავალებას.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი – „ეგმონტი“



ჰეროიკული თემატიკა მნიშვნელოვანია მრავალი კომპოზიტორის შემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ სიყვარულის თემატიკასთან ერთად გმირული თემატიკა ყველაზე გავრცელებულია ხელოვნების ყველა დარგში და მათ შორის, მუსიკაშიც. კომპოზიტორის წინაშე დგება არცთუ ისე ადვილი ამოცანა, მუსიკის საშუალებით შექმნას მისი მხატვრული სახე.

განხილვის თემად გთავაზობთ გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორის, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის უვერტიურას – „ეგმონტი“.

დაიმახსოვრე!

უვერტიურა – ოპერის, ბალეტის, ორატორიის, დრამის შესავალი საორკესტრო პიესა, რომელიც ახდენს მსმენელის, მაყურებლის ყურადღების კონცენტრაციას, შეჰყავს სპექტაკლის ემოციურ ატმოსფეროში. უვერტიურა გადმოსცემს ნაწარმოების იდეურ ჩანაფიქრს, კოლორიტს;

1. ოპერის, ბალეტის, ოპერეტის და სხვ. საორკესტრო შესავალი;
2. ერთნაწილიანი საორკესტრო ნაწარმოები.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა დააფუძნა სიმფონიური მუსიკის ახალი ჟანრი – **პროგრამული სიმფონიური უვერტიურა**. კომპოზიტორის დამსახურებაა, რომ უვერტიურას, რომელსაც შესავლის დანიშნულება ჰქონდა, დამოუკიდებელი სიმფონიური ნაწარმოების სახე მიანიჭა და ამით საძირკველი ჩაუყარა სიმფონიური პოემის ჟანრის განვითარებას.

ბეთჰოვენის უვერტიურებს შორის გამორჩეულია „ეგმონტი“ (პირველად შესრულდა 1810 წელს), დაწერილი გოეთეს ამავე სახელწოდების ტრაგედიისათვის. გენიალური თანამემამულის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შემოქმედება ნაყოფიერი მასაზრდოებელი წყარო იყო ბეთჰოვენისათვის. ამ ტრაგედიის შინაარსმაც უმაღლეს მიიზიდა მემამბოხე სულისკვეთებით განმსჭვალული კომპოზიტორი.



იოჰან ვოლფგანგ გოეთე
1749-1832

უვერტიურის სიმფონიურ განვითარებას საფუძვლად უდევს ორი ძირითადი მხატვრული სახის – გმირისა და ანტიგმირის – სასტიკი კონფლიქტი, ჰოლანდიელების კეთილშობილური, განმათავისუფლებელი შერკინება ესპანელ დამპყრობელთან.



ნაწარმოების შესავალ ნაწილშივე გამოიკვეთება მძაფრი კონფლიქტი, იკვრება დრამის იდეური კვანძი – ერთიმეორეს კონტრასტულად უპირისპირდება, მწვავედ ეჯახება ორი ძირითადი მხატვრული სახე.



მოისმინეთ ოთხი მუსიკალური ფრაგმენტი „ეგმონტიდან“ და ამოიცანით, რომელშია ასახული გმირის და რომელში – ანტიგმირის მხატვრული სახე; დაასახელეთ, რა ნომრებად მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები, რომელთაც ქვემოთ მოცემული აღწერები მიესადაგება.

1

ჰობოის თემა გამოხატავს ნიდერლანდელების ტანჯვას, მის პარტიაში ჟღერს ჩივილის, კენესის ინტონაციები (დაღმავალი მოძრაობა პატარა სეკუნდაზე).

2

სიმებიან საკრავთა მძიმე აკორდული სვლები, პირქუში ხმოვანება და სინკოპირებული რიტმი, რაც მძაფრი კონფლიქტის მომასწავებელ გრძნობას ტოვებს.



- რა წარმოდგინეთ თითოეული ფრაგმენტის მოსმენისას; რის მიხედვით ამოიცანით გმირისა და ანტიგმირის მხატვრული სახე?
- ვინ მოიაზრება ნაწარმოებში გმირად და ვინ – ანტიგმირად?
- დაახასიათეთ, როგორი მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხებით აქვს კომპოზიტორს გადმოცემული გმირის ან ანტიგმირის მხატვრული სახე;
- მოსმენილი ფრაგმენტებიდან, რომელს მიეკუთვნება ქვემოთ მოცემული განმარტება?

მგმინავი, ოხვრითი ინტონაციები გმირული პათოსით იმსჭვალება და ვაჟკაცურ სულისკვეთებას გამოხატავს.



2

- ქვემოთ მოცემულ სანოტო ჩანაწერებს მიაკუთვნეთ გმირის ან ანტიგმირის სტატუსი;
- სანოტო ჩანაწერებში ამოიცანით მოსმენილი ფრაგმენტები.
- რა გრძლიობის ნოტებს ხედავთ მეორე ჩანაწერში? როგორ ფიქრობთ, რას უნდა გამოხატავდეს ეს – დაუნდობლობას, წუხილს, სიხარულს თუ კიდეც სხვა რამეს?
- რომელი ფრაგმენტი იწყება ბგერების დაღმავალი სვლით? თქვენი აზრით, აქვს თუ არა რაიმე ემოციური დატვირთვა დაღმავალ სვლას?



ჰოლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა ესპანელ დამპყრობთა მიერ სასტიკად იქნა ჩახშობილი. ეგმონტი კი, აჯანყებულთა ბელადი, სიკვდილით იქნა დასჯილი.



მაგრამ მისი დაღუპვა ხალხის დამარცხებას არ ნიშნავს...



მოისმინეთ ორი ფრაგმენტი უვერტიურიდან და ამოიცანით ეს ეპიზოდები.




- რომელ ფრაგმენტში ისმის ჩასაბერი საკრავების (ვალტორნების) ფანფარული და სიმეზიანი საკრავების მოტივების მონაცვლეობა? რას მიამსგავსეთ ეს ინტონაციები? თქვენი აზრით, რის მხატვრულ სახე(ებ)ს ქმნის კომპოზიტორი ამ ეპიზოდში?
- ქვემოთ მოცემული ორი რიტმული მაგალითიდან, რომელი მიესადაგება ამ ფრაგმენტს? გაიხსენეთ, როგორი რიტმი ეწოდება ასეთ ფიგურაციას.



- რომელ ფრაგმენტში აქვს კომპოზიტორს ასახული ეგმონტის სიკვდილით დასჯა? განმარტეთ, რის მიხედვით დაასკვნით ასე;
- დაახასიათეთ მეორე მუსიკალური ფრაგმენტი; რა წარმოდგინეთ მოსმენისას?
- როგორ ფიქრობთ, ამ ორი მოსმენილი ფრაგმენტის მაგალითზე, განწყობით ყველაზე ნაკლებად რომელი მუსიკალური ფრაგმენტი უკავშირდება გმირის სახეს? ახსენით, რატომ.

ჰექტორ ბერლიოზი „ფაუსტის გაკიცხვა“

1 ბერლიოზის შემოქმედებით მემკვიდრეობაში პროგრამულ სიმფონიებს უმთავრესი ადგილი უკავია. მისმა ნაწარმოებებმა ფრანგული მუსიკა თავისი დროის მონიავე ლიტერატურის დონემდე აამაღლა. ბერლიოზი სამართლიანად ითვლება პროგრამული რომანტიკული სიმფონიზმის შემქმნელად.



ჰექტორ ბერლიოზი
ფრანგი კომპოზიტორი
და დირიჟორი
1803-1869

ბერლიოზმა „ფაუსტის გაკიცხვისთვის“ თავდაპირველად შექმნა რვა სცენა, რომელსაც **დრამატული ლეგენდა** უწოდა.

ფაუსტი – მუდამ სიახლის მაძიებელი, გამოჩენილი მეცნიერი – უკმაყოფილოა თავისი ცხოვრებით. ის ხელშეკრულებას დებს ეშმაკთან – მეფისტოფელთან, რათა ცხოვრების სიახლე მთელი სისრულით შეიგრძნოს. ამის საფასურად იგი სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში უნდა წავიდეს, მაგრამ, გოეთეს თანახმად, საბოლოოდ ფაუსტის სული ანგელოზებს სამოთხეში აჰყავთ“.

გაეცანით ფაუსტის დახასიათებას გოეთეს ტრაგედიის მიხედვით და აღწერეთ მისი პორტრეტი, როგორ პიროვნებად დაინახეთ ფაუსტი პირველი ტექსტის მიხედვით და როგორად წარმოიდგინეთ ის მეორე ტექსტის წაკითხვის შემდეგ.

1 არც ძალაუფლება, არც სიმდიდრე, არც დიდება, არც დედამიწაზე ყველაზე ლამაზი ქალის ფლობა არ იძლევა არსებობის ჭეშმარიტად უმაღლეს ნამს. მხოლოდ საერთო კეთილ საქმეს, რომელიც ერთნაირად სჭირდება ყველას და რომელსაც ყველა გაიაზრებს, შეუძლია მიანიჭოს სიცოცხლეს უმაღლესი სისავსე. მხოლოდ ის იმსახურებს სიცოცხლეს და თავისუფლებას, ვისაც მათთვის ყოველდღე ბრძოლა უკისრია.

2 ფაუსტმა გაზედა და ზებუნებრივი მოვლენების საიდუმლოს შეეხო, მიმართავდა მაგიას, ალქიმიას. მეფისტოფელის მიერ შეთავაზებულმა კეთილდღეობისა და ყოვლისშემძლეობის საცდურმა იმდენად მოხიბლა, რომ მის ნადავლად, მონად იქცა, სული მიჰყიდა ეშმაკს და ხელშეკრულებას სისხლით მოაწერა ხელი.



- ამ ორი ამონარიდის გაცნობის შემდეგ, რა სტატუსს მიანიჭებთ ფაუსტს – გმირისას თუ ანტიგმირისას?
- იმ შემთხვევაში, თუ მას ანტიგმირად მიიჩნევთ, რომელ მახასიათებელს მიუსადაგებთ? გადახედეთ გმირის/ანტიგმირის დახასიათებებს (გვ. 89) და დაასახელეთ შესაბამისი ლიტერი.



მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს და თითოეული მიუსადაგეთ ქვემოთ მოცემულ დახასიათებას:

1. ფაუსტი მარტოსულად გრძნობს თავს, ვერსად პოულობს სიმშვიდესა და ბედნიერებას.
2. ფაუსტს გული შესტკივა სამყაროში გაბატონებულ უსამართლობაზე, ვერ ეგუება ძალმომრეობას, ქაოსს.
3. ფაუსტი – რომანტიკული ადამიანი, შეჭხარის ბუნების სიმშვენიერეს.



- რის მიხედვით მიუსადაგეთ აუდიოფრაგმენტი პირველ დახასიათებას?
- რომელ ფრაგმენტში ამოიცანით ფაქიზი სულის, რომანტიკული ადამიანი? ახსენით, მუსიკის რომელი გამომსახველობითი ხერხები დაგეხმარათ მის ამოცნობაში;



მოისმინეთ კიდევ ერთი ფრაგმენტი. რის ასოციაციას გიქმნით ის? მუსიკის რომელ ჟანრს მიაკუთვნებთ ამ ფრაგმენტს? რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს მიუსადაგებთ ქვემოთ მოცემულ დეტალებს?

სწრაფი ტემპი, დასარტყამი საკრავის ლიტავრების – გამოკვეთილი რიტმული ფიგურაცია, 4-წილადიანი ზომა, საზეიმო ხასიათი.

- მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტებიდან, რომელში ჩანს, რომ ის ძალადობის წინააღმდეგია, აძრწუნებს ქვეყანაში არსებული ძალმომრეობა?
- მოცემული დახასიათებებისა და მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების მიხედვით როგორი პიროვნება დაინახეთ – გმირი თუ ანტიგმირი?

2 გაეცანით სამ სიუჟეტურ დეტალს გოეთეს ტრაგედიიდან „ფაუსტი“:

1

ფილოსოფიას შევწირე წლები,
დავშვერ სამართლით და მედიცინით,
ღვთისმეტყველების საბმურშიც ვები
და ვდგავარ ახლა, სიმწრით ვიცინი,
რა ბრიყვიც ვიყავ, დავრჩი იმადვე,
მისხალი ჭკუა ვერ შევიმატე.

მეფისტოფელთან საუბრისას უფალს ფაუსტი მოჰყავს თავისი ერთგული და გულმოდგინე მონის მაგალითად. მეფისტოფელი კი მეცნიერის წინააღმდეგობრივ, ორმხრივ ბუნებაზე მიუთითებს. უფალი ნებას რთავს მეფისტოფელს, ნებისმიერი მეთოდით გამოსცადოს ფაუსტი, რადგან სჯერა, რომ ის ყოველგვარ ცდუნებას გაუძლებს. მეფისტოფელი, როგორც უარყოფის ჭეშმარიტი სული, მიიღებს სანაძლეოს და პირობას დებს, რომ აიძულებს ფაუსტს, მის ნებას დაემორჩილოს.

გოეთეს ტრაგედიის სიუჟეტში ამის შემდეგ იწყება სიკეთისა და ბოროტების, დიდებულებისა და არარაობის, ამაღლებულისა და მდაბლის არნახული მასშტაბის ბრძოლა.

მეფისტოფელი მიდის ამქვეყნიური ამაოებისგან გულგატეხილ ფაუსტთან, ამხნევებს და ბედნიერ მომავალს, კეთილდღეობას ჰპირდება.

2

თავისი ყოვლისშემძლეობის დასამტკიცებლად მეფისტოფელი ცეცხლის სულებს მოუხმობს და უბრძანებს, თავიანთი ჯადოქრული ბრწყინვალეობით გააბრუნონ და ფაუსტს მიჰგვარონ მისი გულისსწორი – მარგარიტა. ფაუსტის ბედნიერებას საზღვარი არა აქვს.

3

...მარგარიტა საშინელ დანაშაულშია მხილებული და სიკვდილით დასჯა ელის. მეფის-ტოფელი ფაუსტს გულისსწორის დახსნას ჰპირდება, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაუსტი ხელს მოაწერს დოკუმენტს მისი სულის ეშმაკისთვის გადაცემის შესახებ. ფაუსტი უყოყმანოდ აწერს ხელს ხელშეკრულებას. გახარებული მეფის-ტოფელი ჩქარობს ფაუსტის სულის დაპატრონებას, უნდა მალევე ჩაიყვანოს ჯოჯოხეთში და უფალთან დადებული ნიძლავი მოიგოს.



ფაუსტი და მეფისტოფელი

მეფისტოფელი იძახებს თავის ჯადოსნურ ცხენებს და ისინი ქვესკნელისკენ მიიჩქარიან...

დაბოლოს, მხედრებმა მიაღწიეს ჯოჯოხეთის კარიბჭეს. მეფისტოფელი და ფაუსტი ჯოჯოხეთში ცვივდებიან. დემონები იმარჯვებენ.



მოუსმინეთ ორ ფრაგმენტს „ფაუსტის გაკიცხვიდან“. ამოიცანით და მიუსადაგეთ ისინი ქვემოთ მოცემულ თითოეულ სიუჟეტურ დეტალს. ახსენით, რის მიხედვით დაუკავშირეთ ისინი ერთმანეთს.



1

მკვეთრად გამოხატული რიტმი, ჩასაბერი საკრავის, ჰობოის, მწუხარე თემა, ქალების ლოცვითი ლიტანიობა, მოკლე, შეშინებული წამოძახილები და უეცრად შეწყვეტილი ჭენება გმირის ცხოვრების ტრაგიკული დასრულების დაძაბულ ემოციურ ატმოსფეროს ქმნის.

2

სწრაფი და ზომიერი ტემპის მონაცვლეობა, ჩასაბერი საკრავების – პიკოლოს, ჰობოისა და ფლეიტის ჟღერადობა, მსუბუქი, საცეკვაო მელოდია მომწუსხველ განწყობას ქმნის.



➤ თქვენი აზრით, რა უნდა იყოს იმისი მიზეზი, რომ ერთ დროს ეს მეოცნებე, განსწავლული, ფაქიზი სულის ადამიანი ბოლოს ეშმაკის საკბილო გახდა? თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა, რომ მისი ტრანსფორმაციის მიზეზად პირველ სიუჟეტურ დეტალში მოყვანილი სიტყვები მივიჩნიოთ? გამოთქვით თქვენი განსხვავებული მოსაზრებები;

➤ რომელ ფრაგმენტში იგრძნობა ორი საწყისის ჭიდილი?

ალექსი მაჭავარიანი ბალეტი „ოტელო“

ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბალეტს „ოტელო“.

კომპოზიტორმა და დამდგმელმა ქორეოგრაფმა – ვახტანგ ჭაბუკიანმა – შეძლეს მუსიკითა და ცეკვით შექსპირის ტრაგედიის ძირითადი იდეების გადმოცემა, რითაც ბალეტი „ოტელო“ დრამატულ თეატრში შექმნილ კლასიკურ ნიმუშებს გაუტოლდა.



ალექსი მაჭავარიანი
1913-1995 წწ.



სცენა ბალეტიდან „ოტელო“
ოტელო – ვახტანგ ჭაბუკიანი,
დეზდემონა – ვერა ნიგნაძე

1



მოისმინეთ ფრაგმენტი ბალეტის შესავალი ნაწილიდან და უპასუხეთ კითხვებს:



- რა განწყობას გიქმნით მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტი?
- დაახასიათეთ, ბგერების როგორი მოძრაობით იწყება – აღმავალია თუ დაღმავალი, მდოვრე თუ ნახტომისებური; რა ემოციებს აღგიძრავთ ბგერათა ამგვარი მოძრაობა, რა წარმოდგინეთ მოსმენისას?

ოტელო წარჩინებული და კეთილშობილი მავრია, ვენეციის სახელმწიფოს გენერალი, კვიპროსის გუბერნატორი, მამაცი და შეუდრეკელი მეომარი. სენატორ ბრაბანციოს ასულ დეზდემონასა და ოტელოს ერთმანეთი თავდავინწყებით შეუყვარდათ და, წინააღმდეგობების მიუხედავად, საიდუმლოდ დაქორწინდნენ.

...ქვეყანაში აურზაურია – თურქული ფლოტი კვიპროსის დასაპყრობად მოეშურება. ოტელოს აგზავნიან თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად --.

ოტელოს მეთაურობით მისმა ლაშქარმა მტერი დაამარცხა. ბრწყინვალე გამარჯვება კვიპროსის მცხოვრებლებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს --.

იაგო, ოტელოს ასისტავი, ვერ იტანს „თავისნათქვამა აფრიკელს“ იმის გამო, რომ მან იაგოს ნაცვლად, რომელიც პროფესიონალი სამხედროა, თავის თანაშემწედ კასიო დანიშნა. იაგო გადანყევტს, რომ შური იძიოს. ის გენერალს ნელ-ნელა შხამს აწვეთებს დეზდემონასა და კასიოს სასიყვარულო ურთიერთობაზე --. ოტელო დაავალებს იაგოს, მისი რწმენით, „ამ კრისტალურად პატიოსან კაცს“, წარმოუდგინოს ლალატის დამამტკიცებელი საბუთი. იაგო მოიპოვებს დეზდემონას ცხვირსახოცს, რომელიც მას მეუღლემ აჩუქა და ოტელოს ეტყვის, რომ ის კასიოს ჰქონდა. მავრი ეჭვიანობით სიგიჟემდე მიდის --. იაგო ურჩევს ოტელოს, რომ დაახრჩოს მოლალატე ცოლი. ოტელო მწუხარებისგან თავის თავს აღარ ეკუთვნის. იაგო გამარჯვებას ზეიმობს --.

დეზდემონა ვერ ხვდება მეუღლის ხასიათის ცვლილებას, მას სევდა შეიპყრობს --. ეჭვიანობით დატანჯულ მავრს არ უნდა დაიჯეროს საყვარელი ცოლის ლალატი, მაგრამ ვერ უმკლავდება თავის ეჭვებს. იაგო დაჟინებით ურჩევს ოტელოს, რაც შეიძლება მალე განახორციელოს თავისი შურისძიება.

ოტელო საძინებელში ჩუმად შედის და კოცნის მძინარე დეზდემონას. იცის, რომ ჭკუიდან შეიშლება, თუ საყვარელ მეუღლეს მოკლავს, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავს --. დეზდემონა იღვიძებს. ...ქალი უნდა მოკვდეს და ქმარს არ სურს, საყვარელი მეუღლის სულიც დაიღუბოს; ოტელო ეკითხება მას, ილოცა თუ არა ძილის წინ; დეზდემონა ღმერთს წყალობას შესთხოვს თავისთვის და თავისი ქმრისთვის. ოტელო ბრალს სდებს, რომ მას კასიო უყვარს და ამიტომ უნდა მოკვდეს. საბრალო ქალი ვერ ამტკიცებს თავის უდანაშაულობას, ის შეწყალებას ითხოვს, მაგრამ ოტელო ეუბნება, რომ უკვე ძალიან გვიანია... და ახრჩობს მას --.

მალევე გაცხადდება იაგოს ვერაგობა და ისიც, რომ დეზდემონა უდანაშაულო ყოფილა. სასონარკვეთილი ოტელო დანას ჩაიცემს. – „ერთი კოცნა... კიდევ ერთი... და კვლავაც ერთი“, – ამ სიტყვებით იგი დეზდემონას გვერდით კვდება --.

➤ ტექსტის მიხედვით, რომელ პერსონაჟს მიაჩნებთ გმირის ან ანტიგმირის სტატუსს? მოიყვანეთ ამის დამადასტურებელი ამონარიდები ტექსტიდან.

➤ თვალი გადაავლეთ გმირისა და ანტიგმირის დახასიათებებს (გვ.89). მიუსადაგეთ რომელიმე მათგანი იაგოსა და ოტელოს. ახსენით თქვენი მოსაზრება.

მოისმინეთ ორი ფრაგმენტი ბალეტიდან. სიუჟეტურ სვლებში ნახსენები რომელი პერსონაჟები ამოიცანით? მათგან რომელია ანტიგმირი და რომელი – დადებითი პერსონაჟი? ახსენით, რომელი მუსიკალური მახასიათებლები დაგეხმარათ ამოცნობაში.





➤ რომელ ფრაგმენტში იგრძნობა პერსონაჟის შემპარავი, მზაკვრული განზრახვის ამსახავი ინტონაციები?

➤ რა მუსიკალური ხერხებით აქვს კომპოზიტორს გადმოცემული დეზდემონას სახე?

➤ რომელ პერსონაჟს მიესადაგება ქვემოთ მოცემული მუსიკალური დახასიათება:

ბგერების დაღმავალი მოძრაობა, განმეორებადი თანმიმდევრობა (ოსტინატო), წყვეტილი, გამოკვეთილი რიტმული ფიგურაცია.

➤ პიროვნების როგორ ხასიათზე მიგვანიშნებს ბგერათა ამგვარი მოძრაობა? ახსენით თქვენი მოსაზრება.

➤ თქვენი აზრით, რა მომენტი ილუსტრაციაზე ასახული?



4 მოისმინეთ კიდევ ერთი ფრაგმენტი. ისაუბრეთ, რა წარმოიდგინეთ, რომელი სიუჟეტური სვლა ამოიცანით მოსმენისას.



შემდეგ ნახეთ ამ სცენის ვიდეოფირი და შეამოწმეთ თქვენი მოსაზრებები. რეჟელში მოკლედ დაწერეთ ამ სცენაში წარმოდგენილი სიუჟეტური სვლები. აღწერეთ მუსიკა იმ მომენტში, როცა იაგო თავის ვერაგულ გეგმას ახორციელებს – ოტელოს მეუღლის ღალატზე მიანიშნებს, და როგორია მუსიკა, რომელიც ოტელოს საპასუხო რეაქციას გადმოგვცემს.



მოისმინეთ სამი აუდიოფაილი და უპასუხეთ კითხვებს:

➤ რომელში შეიმჩნევა დრამატიზმით განმსჭვალული, თითქოსდა მაჯისცემის ინტონაცია, რომელიც ოტელოს შინაგან ვნებათაღელვაზე მიგვანიშნებს? რა გრძნობა დაგეუფლათ, რა წარმოიდგინეთ ამ ფრაგმენტის მოსმენისას?

➤ რომელ ფრაგმენტში ამოიცანით ნაზი გრძნობების მქონე, შეყვარებული ოტელოს მზატვრული სახე? ახსენით, რის მიხედვით ივარაუდეთ ასე;

➤ რომელ ნომრად მოსმენილ აუდიოფრაგმენტში გამოიკვეთება ორი სანყისი – გმირული და ლირიკული – ერთდროულად?

აღწერეთ თითოეული ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლები.

➤ რომელ ნომრად მოსმენილ აუდიოფრაგმენტს მიუსადაგებთ ქვემოთ მოცემულ ტექსტს, რომელი პერსონაჟის მიმართ არის ის ნათქვამი? ახსენით თქვენი ვარაუდი.

„ვის ძალუძს ახლა დაუბრუნოს მას მშვიდი ძილი, რითაც ტკებოდა შვებით მოსილი!“

როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, ოტელოს სახეში ორგანულადაა შერწყმული ორი საწყისი – გმირული და, მისი მეომრული სულისკვეთებისათვის თითქოსდა უცხო, მაგრამ სულიერი წყობისათვის ესოდენ ბუნებრივი – ლირიკული.

➤ როგორ ფიქრობთ, ოტელო გმირია თუ ანტიგმირი?
➤ თუ თვლით, რომ ოტელო დადებითი პერსონაჟია – გმირი, მოიყვანეთ ამის არგუმენტები სიუჟეტიდან და დაასახელეთ, რა მუსიკალური ელემენტების საშუალებითაა ეს მიღწეული:

- ა) მელოდია;
- ბ) ჰარმონია;
- გ) ინტონაცია;
- დ) რეგისტრი;
- ე) რიტმი;
- ვ) ტემპი;
- ზ) ყველა ერთად.

➤ თუ თვლით, რომ ის ანტიგმირია, დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.
➤ ნაწარმოებში რომელი ანტიგმირი იწვევს თქვენში სიძულვილს და რომელი – სიბრალულს, თანაგრძნობას? ახსენით, რატომ.
➤ როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, რომ ერთი და იგივე ადამიანი გმირიც იყოს და ანტიგმირიც?

 ნახეთ ორი ვიდეოფაილი საფინალო სცენიდან.
ვიდეოკადრების ნახვის შემდეგ შეიცვალა თუ არა თქვენი აზრი, როგორ პიროვნებად მიიჩნევთ ოტელოს – ის გმირია, ანტიგმირი თუ ორივე ერთად?

კლასში ისაუბრეთ თემაზე: რა გარემოებები შეიძლება გახდეს მიზეზი, რომ ადამიანი გარდაქმნას, განიცადოს ტრანსფორმაცია (ზოგადად) და რა გახდა ამის მიზეზი „ოტელოს“ მაგალითზე.

 5 რომელი სცენებია ამ ილუსტრაციებზე ასახული? დააღაგეთ სიუჟეტის განვითარების მიხედვით და ფურცელზე ჩამოწერეთ მათი თანმიმდევრობა.





კომპლექსური დავალება 1

პირობა:

LMMS პროგრამაში შექმენით კომპოზიცია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სიმფონიური უვერტიურის, „ეგმონტის“, მიხედვით.

ინსტრუქცია:

უვერტიურაში, „ეგმონტი“, რომელიც შექმნილია გოეთეს ამავე დასახელების ტრაგედიის მიხედვით, ასახულია XVI საუკუნის ისტორიული მოვლენები – ნიდერლანდელთა განმათავისუფლებელი ბრძოლა ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. აჯანყებულთა ბელადი იყო ეგმონტი.

მოუსმინეთ შემოთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტებს ამ უვერტიურიდან და სემპლებად დაჭრილი ნაწყვეტების მიხედვით აანწყვეთ კომპოზიცია (მუსიკით გადმოეცით ისტორიის თანმიმდევრობა), გეგმად გამოიყენეთ შემდეგი მოცემულობა:

1. ესპანელთა ძალადობისა და ბატონობის სახე უპირისპირდება ჭირვარამგადატანილი ხალხის წუხილსა და გმინვას;
2. აჯანყებული ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ჟინით აღტკინება;
3. მოწინააღმდეგე მხარეების მწვავე შეტაკება, დაძაბული ბრძოლა;
4. გმირის – ეგმონტის – დაღუპვა;
5. სახალხო დღესასწაული – გამარჯვების გმირული საწყისის აპოთეოზი, თავისუფლებისათვის თავგანწირვის ხოტბა.

სასურველია, თავად დაჭრათ უვერტიურის მთლიანი ჩანაწერი, რომლის ფრაგმენტებსაც ინტონაციურად დაუკავშირებთ გეგმაში მოწოდებულ დეტალებს. შემოთავაზებული აუდიოფაილიდან რომელიმე ფრაგმენტი გამოიყენეთ ლაიტმოტივად (მოტივი, თემა, რომელიც კომპოზიციაში დროდადრო გამეორდება).

თქვენი ნაშრომის პრეზენტაციისას ისაუბრეთ, რატომ აირჩიეთ დაწყებისას ან დამთავრებისას ესა თუ ის მოტივი, კომპოზიციის შესაკრავად რომელი მოტივი გამოიყენეთ ფონად და რატომ; რა პრინციპით აარჩიეთ ფრაგმენტი კულმინაციისთვის.

პრეზენტაციისას ხაზი გაუსვით:

- რამდენ ფრაგმენტად დაანაწილეთ ნაწარმოები, როგორ დაასათაურეთ თითოეული ფრაგმენტი და ა.შ.;
- რომელ ფრაგმენტს რომელი ტექსტი მიუსადაგეთ, და ახსენით, რის მიხედვით გააკეთეთ ასე;
- უვერტიურაში გამოყენებულ მუსიკალურ ხერხებზე დაყრდნობით იმსჯელეთ, რა სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს კომპოზიტორი ორი საწყისის – გმირისა და ანტი-გმირის (ამ შემთხვევაში ორი მოწინააღმდეგე მხატვრული სახის (ნიდერლანდელთა და ესპანელების)) დაპირისპირებას. არგუმენტებად მოიყვანეთ მაგალითები იმ აქტივობებიდან, რომლებიც განხილული გაქვთ წინა გაკვეთილებზე.



კომპლექსური დავალება 2

პირობა:

არეული თანმიმდევრობით მოისმინეთ აუდიოფრაგმენტები ალექსი მაჭავარიანის ბალეტიდან „ოტელო“; თქვენი შეხედულებისამებრ შეადგინეთ ცხრილი სიუჟეტური დეტალების თანმიმდევრობით.

ინსტრუქცია:

- ნაწარმოები დაყავით ფრაგმენტებად, რომლებშიც ასახული იქნება ამ ფრაგმენტის თქვენეული მოკლე სიუჟეტური აღწერა;
- მიუთითეთ, თქვენი აზრით, რომელ მუსიკალურ ფრაგმენტშია ასახული გმირის სულიერი სამყარო და რომელში ამოიცანით ანტიგმირის მხატვრული სახის გადმოცემი ინტონაციები;
- თითოეულ აღწერას მიუსადაგეთ ის მოსმენილი ფრაგმენტი, რომელსაც თავად შეარჩევთ, და დაასათაურეთ; აღწერეთ, მუსიკის რომელი მახასიათებლებით შეიძლება გმირისა და ანტიგმირის მხატვრულ სახის ამოცნობა მუსიკაში.

პრეზენტაცია:

- თანაკლასელებს გააცანით თქვენი ნაშრომი; ახსენით, რატომ შეადგინეთ ცხრილი ამ სახით;
- რამდენ ფრაგმენტად დაანაწილეთ ნაწარმოები, როგორ დაასათაურეთ თითოეული ნაწილი და ა.შ.;
- რომელ ფრაგმენტს რომელი ტექსტი მიუსადაგეთ და რის მიხედვით;
- ბალეტში გამოყენებულ მუსიკალურ ხერხებზე დაყრდნობით იმსჯელეთ, რა დატვირთვას ანიჭებს კომპოზიტორი თითოეულ ეპიზოდს; რომელი მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით შეიძლება ამოიცნო მუსიკაში გმირისა და ანტიგმირის მხატვრული სახე. არგუმენტებად მოიყვანეთ მაგალითები იმ აქტივობებიდან, რომლებიც გაკვეთილზე გაიარეთ.

თქვენი ნაშრომი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ვერ ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს, ვერ ამოიცნობს მუსიკის ემოციურ მუხტს; ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს.	გამოხატავს თავის ემოციებს, ვერ ამოიცნობს ნაწარმოებში მუსიკალურ მახასიათებლებს, ამ ელემენტებით მიღწეულ ემოციურ მუხტს და ვერ უკავშირებს ვერცერთ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას.	გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწახი ცეკვები-სადმი; განსაზღვრავს მუსიკის თითოეული მახასიათებლის როლს, თუმცა უჭირს დაკავშირება შინაარსთან; პასუხობს კითხვებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს.	პასუხები დამაჯერებელია, ასაბუთებს, მოჰყავს არგუმენტები; ამოიცნობს შემოთავაზებული ინტერპრეტაციებიდან მუსიკალურ მახასიათებლებს (რიტმი, მელოდია, ჰარმონია), აკავშირებს მათ მხატვრულ სახესთან და განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში.
---	---	---	---